1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

№ 3

მარტი МАРТ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

F-5300

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის სახალხო განათლების განვითარების 1984 წლის შედეგებისა და 1985 წლის ამოცანების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ გასული 1984 წელი რესპუბლიკაში იყო სახალხო განათლების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი. იგი მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესახებ" დასახული ახალი ამოცანების განხორციელების ნიშნით.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. კ. უ. ჩერნენკო აღნიშნავს: „ახლა უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ რეფორმის იდეებმა მთლიანად შეისხას ხორცი, ქაღალდზე არ დარჩეს, აქ მთავარია სკოლის გარდაქმნისათვის მთელ მუშაობას საფუძვლად დავუდოთ მტკიცე მატერიალური და ორგანიზაციული ბაზა". საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, ხელმძღვანელობდნენ რა ამხ. კ. უ. ჩერნენკოს ამ მითითებით, აგრეთვე სკკპ 26-ე და საქართველოს კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობების, რესპუბლიკის მასწავლებელთა მე-5 ყრილობისა და სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკაში სახალხო განათლების განვითარების 1984 წლის საგეგმო დავალებების შესრულების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე ამოცანების რეალიზაციის საქმეში.

განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესახებ" საყოველთაო განხილვის ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიებების ჩატარებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების ეტაპობრივი განხორციელების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1984 წ.) პლენუმის შედეგების განხილვას და ამ პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებს მიეძღვნა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება, რომლის რეზოლუციის საფუძველზე განათლების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება თერთმეტწლიან სწავლებაზე 1984—1985 სასწავლო წლიდან გადასვლისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ, რითაც დასაბამი

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

მიეცა ჩვენს რესპუბლიკაში სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განხორციელებისათვის **გეგმაზომიერ მუშაობას.**

განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა და დაამტკიცა კომპლექსური ღონისძიებანი, რომელთა საფუძველზე, ადგილობრივი სპეციფიკისა და კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით, რაიონებსა და ქალაქებში შემუშავდა სასკოლო რეფორმის **განხორციელების 1984—1990 წლების შესაბამისი გეგმები.**

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 22 ივნისის დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები გადავიდნენ სწავლების ახალ სტრუქტურაზე, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ მდიდარმა მრავალწლიანმა გამოცდილებამ, რაც მოსამზადებელი კლასების მუშაობაში დააგროვეს რესპუბლიკის სკოლებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა. 6-წლიანთა სწავლების წარმატებით განხორციელებას თერთმეტწლიანი სკოლის პირობებში მყარი საფუძველი შეუქმნა აგრეთვე ორგანიზატორულმა და მეთოდურმა მუშაობამ, რომელიც მოკლე დროის მანძილზე განათლების სამინისტროს აპარატსა და მის გარეთ ჩატარდა მრავალი სახისა და შინაარსის სახელმძღვანელო დოკუმენტების, მითითებების და მეთოდური რეკომენდაციების შექმნისა და ადგილებზე ორგანიზატორული მუშაობის გაშლისათვის.

აღნიშნულის შედეგად მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და 40-ზე მეტი სკოლამდელი დაწესებულების 1-ლ კლასებში სწავლას შეუდგა 147.330 ბავშვი, მათ შორის 67 ათასი ექვსწლიანი.

საანგარიშო პერიოდი გარკვეული დადებითი შედეგებით აღინიშნა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში: 1984 წელს დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 8 კლასის განათლება მიიღო 83,5 ათასმა მოსწავლემ. საშუალო განათლების მისაღებად დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რვაკლასდამთავრებულთა 70,2% აგრძელებს სწავლას დღის სკოლის მე-9 კლასში, ხოლო საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში — 29,0%.

რესპუბლიკის დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დაამთავრა 55,6 ათასმა მოსწავლემ, კიდევ 14.086 ახალგაზრდამ წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღო საშუალო განათლება. 1984 წელს დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლადამთავრებულთაგან სწავლა გააგრძელა 26,5 ათასმა (47,6%), მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებში — 11,4%-მა, ტექნიკურ სასწავლებლებში — 21%-მა, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ იქნა 26250-მდე კურსდამთავრებული (47,2%).

წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად ამაღლდა რვა და ექვსკლასის დროული დამთავრების მაჩვენებელი, მათ შესაბამისად შეადგინეს 98,6% და 98,7% (1983 წ. — 97,8% და 97,9%); საგრძნობლად შემცირდა არასაპატიო მიზეზით სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის შემთხვევები, ამაღლდა ცოდნის დონე, შემცირდა მეორეწლიანობა.

წინსვლა აღინიშნა საყოველთაო-სავალდებულო სწავლებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის საქმეშიც.

1983 წელთან შედარებით გაიზარდა გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფებისა და მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა. ამჟამად არსებულ 4600 ჯგუფში ჩაბმულია 132,5 ათასი მოსწავლე, რაც I-VIII კლასების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 18%-ია (1983 წ. — 17,4%). რესპუბლიკის 141 სასკოლო ინტერნატში ჩაბმულია 3652 მოსწავლე.

1984 წელს წარმატებით გრძელდებოდა მუშაობა სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებათა ქსელის რაციონალურად განლაგებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვმა 3611-ს მიაღწია, მათ შორის: დაწყებითმა — 955-ს, რვაწლიანმა — 881-ს და საშუალომ — 1775-ს. 1982—1983 სასწავლო წელთან შედარებით საშუალო სკოლების რაოდენობა 17 ერთეულით გაიზარდა.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების სახსრებით სასკოლო მშენებლობის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა 100%-ით, ექსპლოატაციაში გადაეცა 38 სკოლა 21248 მოსწავლე ადგილზე, მათ შორის განათლების სამინისტროს ხაზით 36 სკოლა 20438 მოსწავლე ადგილზე. რესპუბლიკაში მწყობრში ჩადგა 54 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 8425 ბავშვადგილზე, მათ შორის განათლების სამინისტროს ხაზით 33 ბაგა-ბაღი 5960 ბავშვადგილზე. გარდა აღნიშნული ობიექტებისა განათლების სამინისტროს ხაზით ექსპლოატაციაში ჩაბარდა 3 სასკოლო ინტერნატი 160 ადგილზე და 4 საცხოვრებელი სახლი მასწავლებლებისათვის 384 კვ. მ. ფართობით.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის გაუმჯობესებისათვის. სოფლის სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარებისა და მათი დისლოკაციის მოწესრიგების მიზნით შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა რესპუბლიკის თითოეული რაიონის, თითოეული სოფლის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა და დასახულ იქნა ქსელის შემდგომი ზრდის პერსპექტივები. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ეს მასალები წარედგინა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად 1990 წლისათვის გათვალისწინებულია, ძირითადად, გაუმჯობესდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები.

სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის აქტიური მუშაობა გასწიეს შეფმა ორგანიზაციებმა, საწარმო-დაწესებულებებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ინვენტარით, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების აღჭურვისათვის. საანგარიშო პერიოდში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13,5 მილიონი მანეთისა, სისტემის საბავშვო დაწესებულებებზე მიწოდებულია 17,1 მილიონი მანეთის პროდუქცია, რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 127%-ით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 6-წლიან ბავშვთა მიღებასთან დაკავშირებით სკოლების შესაბამისი მერხებითა და სხვა სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხს. სათანადო ზომები იქნა მიღებული მოსწავლეთა შრომითი სწავლების ორგანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარებით სკოლების მომარაგებისათვის.

ნაყოფიერი მუშაობა ჩატარდა სახელმძღვანელოებით, მეთოდური და დიდაქტიკური მასალებით მოსწავლეთა და მასწავლებელთა უზრუნველყოფის საქმეში.

რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდათ 302 დასახელების 5.482.220 ცალი სახელმძღვანელო, რომელთა საერთო ღირებულება 1.740 ათას მანეთს შეადგენს. მომზადდა და გამოიცა 8 დასახელების ორიგინალური სახელმძღვანელო. ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის სკოლებმა მიიღეს 350 ათას ეგზემპლარამდე სხვადასხვა დასახელების მეთოდური ლიტერატურა და თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალები.

სკოლის რეფორმის განხორციელების პირველი წლისათვის 6-წლიანთა 1-ლი კლასებისათვის დამატებით გამოიცა სახელმძღვანელოები 20-ათასიანი ტირაჟით, ამდენივე დამხმარე სახელმძღვანელო 1-ლი კლასის ქართული ენის მასწავლებლისათვის, 11 დასახელების მეთოდური რეკომენდაციები.

1984 წელს განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა შრომატევადი მუშაობა გასწიეს სწავლების ხარისხის ამაღლების, აღმზრდელობითი მუშაობის, მართვისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

გრძელდებოდა მუშაობა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების სრულყოფისათვის. სამუშაო გეგმის მიხედვით მომზადდა და კოლეგიამ განიხილა საკითხები ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის, გეოგრაფი-

ის, მათემატიკის, წვევამდელებთან რუსულ ენაში მეცადინეობის მდგომარეობის, თერთმეტწლიანი სკოლისა და სკოლამდელ დაწესებულებათა 1-ლ კლასებში 6 წლის ასაკის ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის ორგანიზების შესახებ, დაისახა მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნებიდან გამომდინარე სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების გაუმჯობესების საკითხებს.

სკოლის რეფორმის განხორციელების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მცირეკომპლექტიანი სკოლის პირობებში მუშაობას; მომზადდა და წარმატებით ჩატარდა რესპუბლიკური კონფერენცია კლასკომპლექტების მუშაობის პრობლემებზე, რომელმაც შეიმუშავა რეკომენდაციები სასკოლო მუშაობის ამ სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად. რუსული ენის სწავლების პრობლემებს მიეძღვნა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი აღნიშნული საგნის სწავლების საკითხებზე. განვლილი წლის განმავლობაში სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა გამსვლელი თათბირ-სემინარები ცაკეული საგნების სწავლების შესახებ. პედაგოგიური საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია სახალხო მეურნეობის გამოფენის მონაწილე სკოლა-ექსპერიმენტების გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისათვის ჩატარებულმა რესპუბლიკურმა შეკრებამ.

გასული წელი სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის დარგშიც მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა. განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული მთელ რიგ იმ აქტუალურ პრობლემებზე, რომელთა დროულ გადაწყვეტაზე მითითებულია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში. გაუმჯობესდა მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები. უფრო სრულყოფილი გახდა მოსწავლეთა მხატვრული განათლება და ესთეტიკური აღზრდა, ამ მიზნით შემუშავდა ახალი პროგრამები სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში.

ფართო მუშაობა გაიშალა დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად, რამაც სკოლების საქმიანობას უფრო ინტენსიური იდეურ-პოლიტიკური მიმართულება მისცა, ხელი შეუწყო პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის სრულყოფას.

სკოლის რეფორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაძლიერდა მუშაობა სახალხო განათლების მუშაკების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარე დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, არასრულწლოვანთა შორის სამარ-

თლებრივი აღზრდისა და პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. უფრო ოპერატიული და ქმედითი შეიქნა სამართალდარღვევათა თითოეულ ფაქტზე რეაგირება, აქტიური ხასიათი მიიღო საზოგადოებრიობისა და შრომითი კოლექტივების დახმარების ორგანიზაციამ.

ფართოდ გაიშალა მუშაობა მშობელთა საყოველთაო სწავლების გაუმჯობესებისათვის. გაიზარდა პედაგოგიური ცოდნის უნივერსიტეტების, ლექტორიუმების, მშობელთა საზოგადოებების ქსელი; უფრო ქმედითი, მიზანსწრაფული გახდა მათი მუშაობა.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა რესპუბლიკაში ბავშვთა ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რამაც გარკვეული დადებითი ზეგავლენა მოახდინა მე-17 საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის გუნდის შედეგებზე.

რესპუბლიკის წარგზავნილებმა 23 ოქროს, 15 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გუნდურ სახეობებში კი 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. აღნიშნული მაჩვენებლებით რესპუბლიკის გუნდმა მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო მიღებული ქულების მიხედვით — საქართველოს სპორტული კოლექტივი მე-8 ადგილზე გავიდა.

1984 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სრულყოფის საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 31 ივლისის შესაბამისი დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ და საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა ეტაპობრივი განხორციელების ღონისძიებათა გეგმის შესასრულებლად გატარდა რიგი ღონისძიებებისა: რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის შეირჩა და მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცდა საბაზო საწარმოები, ზოგადსაგანმანთლებლო სკოლებსა და საბაზო საწარმოებს დაეგზავნა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საწარმოს დებულება“. მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდის, საზოგადოებრივად სასარგებლო და მწარმოებლური შრომის ორგაინზაციის გუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებთან, სა-

ქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, ვაჭრობისა და სხვა სამინისტროებთან შეიმუშავა ერთობლივი ბრძანებები და რეკომენდაციები. ამასთან, საჩხერელ მოსწავლეთა ინიციატივის განსაზოგადებლად, მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი ბრძანებით საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის 1-ლი და მე-2, მახარაძის რაიონის სოფელ ლაითურის, გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბაზაზე შეიქმნა საბაზო სკოლა-კოლმეურნეობები, მომზადდა სკოლა-კოლმეურნეობის დროებითი დებულება.

მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის ასეთმა ფორმამ ფართო აღიარება ჰპოვა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; ამჟამად რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 40-ზე მეტი სკოლა-კოლმეურენობა, რომლებშიც გაერთიანებულია 3600-მდე მოსწავლე. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მოსწავლეთა ეკონომიკური განათლების უზრუნველსაყოფად, მომზადებულია და იბეჭდება „ეკონომიკური ცნობარი მოსწავლეთათვის", რესპუბლიკის 17 საბაზო საწარმოში (ქ. თბილისის საწარმოო გაერთიანება „თემქა", ქ. ქუთაისის გაერთიანება „გელათი", ავტოქარხანა და სხვ.) თეორიულ საკითხებთან ერთად 5 საათი დაეთმო ეკონომიკური განათლების საკითხებს.

დიდი მუშაობა ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოთვლითი ტექნიკის მართვის უნარ-ჩვევებისა და მიკროკალკულატორების დაუფლების უზრუნველსაყოფად. 1984—1985 სასწავლო წლიდან გამოთვლითი მანქანების პროგრამისტებისა და ლაბორანტების პროფილი შემოღებულ იქნა ქ. თბილისის 26 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

სასწავლო პროცესში კომპიუტერების გამოყენების სამუშაოები განათლების სამინისტროს გამოთვლით ცენტრში საანგარიშო წელსაც ტრადიციულად ორი მიმართულებით ვითარდებოდა: პირველი მიმართულების რეალიზაციისათვის გამოთვლით ცენტრს დაევალა სამუშაოების მეთოდური უზრუნველყოფა. შედგენილია „პროგრამისტ-ლაბორანტის" სპეციალობის სასწავლო პროგრამა, დარგის წამყვან სპეციალისტებთან ერთად ჩატარებულია ლექცია-სემინარების ციკლი, მიძღვნილი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ და აღნიშნული სწავლების ორგანიზაციული საკითხებისადმი.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების გამოთვლითი ცენტრების სახით შერჩეულია საბაზო ორგანიზაციები.

მეორე მიმართულების — კომპიუტერი, როგორც სწავლების საშუალება, განხორციელებისათვის გამოთვლით ცენტრში გრძელდება ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატიზებული მაკონტროლებელი და სავარჯიშო კურსების შექმნა მთელ რიგ ზოგადსაგანმანათებლო საგნებში, რასაც დადებითი შედეგები მოჰყვა. განზრახულია მიმდინარე წელს ეს მუშაობა გაფართოვდეს და პროგრამისტ-ლაბორანტების მომზადება დაიწყოს აგრეთვე ქ. ქ. ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, გორსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, სადაც გამოთვლითი ტექნიკის სათანადო ბაზებია.

მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა საბაზო საწარმოების მიერ გამოყოფილი დამრიგებლების საქმიანობა მოსწავლეებთან. უფრო ეფექტიანი, შემოქმედებითი ხასიათი მიიღო ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის დარგში გაშლილმა მუშაობამ, რის შედეგადაც 1984 წელს სკოლაში მიღებული შრომითი სწავლების პროფილით სამუშაოზე მოეწყო 8903 კურსდამთავრებული, რაც შრომაში ჩაბმულ კურსდამთავრებულთა 33,9% შეადგენს. გარდა ამისა, იგივე პროფილით სწავლას აგრძელებს 6428 ახალგაზრდა. სულ პროფილით დასაქმებულია 14331 კურსდამთავრებული, რაც მათი საერთო რაოდენობის 24%-ია (1983 წელს იყო 11%).

გაუმჯობესდა პედაგოგიური და ხელმძღვანელი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა, 80,7%-მდე გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგიური კადრების მაჩვენებელი. სკოლამდელ დაწესებულებებში გაიგზავნა 353 საშუალო სპეციალური და 67 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი.

რესპუბლიკის სკოლებში განაწილდა 1539 ახალგაზრდა სპეციალისტი, აქედან 766 სოფლად. გაუმჯობესდა სოფლის სკოლების მასწავლებელთა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღმზრდელების ადგილებზე დამკვიდრების მდგომარეობა. შემცირდა პედაგოგიური კადრების დენადობა.

უკანასკნელ წლებში შემუშავებული კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემის შექმნის შედეგად უფრო ეფექტიანი გახდა რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მუშაობა.

აღნიშნულ პერიოდში ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტების მიერ გადამზადებულ იქნა 23559 მასწავლებელი და აღმზრდელი.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა გათვალისწინებით 1984 წლის აგვისტო-სექტემბერში ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ მოკლევადიან კურსებზე გადამზადდა 6-წლიან ბავშვებთან მომუშავე 3874 მასწავლებელი და დაწყებითი კლასების მეთოდისტი. ცენტრალურმა ინსტიტუტმა, საკურსო მუშაობასთან ერთად, გაამრავალფეროვნა კურსებშორის პერიოდში მუშაობის ფორმები და მეთოდები.

გრძელდებოდა მუშაობა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების არსებული ქსელის რაციონალიზაციისა და აღნიშნული დაწესე-

ბულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესების, აღსაზრდელთა კვების, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, კულტურულ-სამედიცინო მომსახურების სრულყოფისა და აღსაზრდელთათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით. 1984 წელს ქ. თბილისში გაიხსნა სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატი 300 მოსწავლეზე, მწყობრში ჩადგა საბავშვო სახლის ახალი შენობა ასპინძაში, ბორჯომის რაიონში გაიხსნა საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადების მქონე ბავშვთა სანატორიული სკოლა-ინტერნატი. რესპუბლიკის ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატები შეივსო კოლექტიური და ინდივიდუალური სმენის აპარატებით, საბავშვო სახლებს და სკოლა-ინტერნატებს გამოეყო 12 ავტომანქანა. მათ შორის 4 ავტობუსი.

გრძელდებოდა მუშაობა საღამოს სკოლების რეორგანიზაციისათვის, შედარებით ამაღლდა სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა ცოდნის დონე, შემცირდა მეორეწლიანობა და მოსწავლეთა განთესვა ამ ტიპის სკოლებიდან. გარკვეული მუშაობა ჩატარდა სახალხო განათლების ორგანოების, დარგობრივ სამინისტროთა და უწყებათა, აგრეთვე პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის ამ საქმეში კონტაქტების განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

გასული წლის განმავლობაში გარკვეული ღონისძიებები გატარდა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა შუქზე სასწავლო დაწესებულებების მართვისა და ხელმძღვანელობის სრულყოფის მიზნით. უფრო პრინციპული გახდა საშემსრულებლო დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისადმი მიდგომა როგორც აპარატში, ისე ადგილებზე. გარკვეული ღონისძიებები გატარდა საინსპექტორო კონტროლის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

განათლების სამინისტროს ორგანიზატორული და მმართველობითი საქმიანობის სრულყოფის საქმეში გარკვეული როლი შეასრულა მთავარმა გამოთვლითმა ცენტრმა, სადაც მიმდინარეობდა დარგის მართვის ავტომატიზებული სისტემის პროექტირების, დანერგვისა და სამრეწველო ექსპლოატაციის სამუშაოები. ინფორმაციის დამუშავების ეფექტიანი ორგანიზაციისა და მართვის ავტომატიზებული სისტემის სრულყოფის მიზნით მთავარ გამოთვლით ცენტრში მიღებული, შესწავლილი და დანერგილია ზოგიერთი ტიპური საპროექტო გადაწყვეტილება და გამოყენებითი პროგრამის პაკეტები.

ამაღლდა სკოლის პედაგოგიური საბჭოს როლი, გაძლიერდა მუშაობა მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლის მიზნით. სერიოზული ყურადღება დაეთმო სახალხო განათლების განყოფილებათა მიერ სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელებისათვის ჩატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული ორგანიზატორული მუშაობის საბოლოო შედეგიანობისაკენ-თხებს.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სასკოლო ცხოვრებაში ფორმალიზმის და თვალის ახვევის ელემენტების დაძლევის მიზნით რაიონებსა და სკოლებში „ქალალდომანიის" ძირეულად აღმოფხვრისათვის. მიღებულია ზომები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის დაგეგმვისა და ინსპექტირების მოსაწესრიგებლად; ამაღლდა ზონალური ინსპექტორების ინსტიტუტის როლი და მათი პასუხისმგებლობა.

ამასთან, სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებათა მიერ 1984 წელს ჩატარებული მუშაობის ანალიზმა ცხადყო, რომ რესპუბლიკაში სახალხო განათლების განვითარების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებსა და გადასაწყვეტ პრობლემებს. მათ გადაწყვეტაზე უნდა იყოს გადატანილი სკოლების პედაგოგიური კოლექტივების, სახალხო განათლების ორგანოების მთელი ძალები, რათა უზრუნველყონ 1985 წლის სახელმწიფო საგეგმო დავალებების შესრულება.

რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოები არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისადმი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განუხრელად განხორციელების საქმეში, რის გამოც ჯერ კიდევ დიდია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც დროულად ვერ ღებულობენ რვაწლიან და სრულ საშუალო განათლებას. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლები აქვთ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქ. ქ. მარნეულის, ახმეტის, ვანის, ლაგოდეხის, მესტიის, წალენჯიხის, წალკის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებს.

სასწავლო-ალმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქ. თბილისში, გორში, ახალქალაქის, გარდაბნის, მარნეულის, მესტიის, დმანისისა და რიგ სხვა რაიონებში კვლავ ადგილი აქვს მოსწავლეთა სკოლიდან არასაპატიო მიზეზით გასვლის შემთხვევებს, არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი მეორეწლიანებთან მუშაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით რესპუბლიკაში შემცირდა მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა, ცალკეული რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლებისა და პედაგოგიური კოლექტივების მიერ მეორეწლიანობასთან შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობის შეუფასებლობამ, დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ საყოველთაო სწავლების განხორციელების ამ მეტად მნიშვნელოვან უბანზე კვლავ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები. აღსანიშნავია ამ საქმეში ახალქალაქის, ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, მახარაძის, მცხეთის, თელავის, თეთრი წყაროს, წალკის, წითელწყაროს, ჯავისა და სხვა რაიონების არასაკმარისი მუშაობა, სადაც კვლავ დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი.

ვერ შესრულდა ზოგიერთი საგეგმო დავალება. მოსწავლეთა კონტინგენტმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 856,2 ათასისა, 355,7 ათასი (99,9%) შეადგინა, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობამ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 54,0 ათასისა, შეადგინა 50,2 ათასი (96%).

ვერ შესრულდა კონტინგენტის გეგმიური დავალებები საბავშვო სახლებში, ნაცვლად დაგეგმილი 1,7 ათასისა, ჩარიცხულია 1,4 ათასი ბავშვი.

მიუხედავად გარკვეული წინსვლისა და წარმატებებისა, რესპუბლიკაში კვლავ ნელი ტემპით ხორციელდება გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელის სათანადო ბაზის შექმნა, რის გამოც ვერ ხერხდება ასეთი ტიპის დაწესებულებებზე მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში I-VIII კლასების მოსწავლეთა გახანგრძლივებული დღის სკოლებში და ჯგუფებში ჩაბმის მაჩვენებელი (18%) საკავშიროსთან (37,5%) შედარებით ძალზე დაბალია. ამ მხრივ არდამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა ქალაქებში, სადაც მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმების მაღალი დონეა, ხოლო გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმა ძალზე დაბალი. რესპუბლიკაში დღეისათვის ფუნქციონირებს მხოლოდ 17 გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლა, მაშინ როდესაც ქ. ქ. ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში, ზესტაფონში, გორში, სამტრედიაში, ცხინვალში, თბილისის ლენინის, კიროვის, ოქტომბრისა და საბურთალოს რაიონებში არ არის არც ერთი გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლა. აღნიშნული ქალაქების და რაიონების სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში I-VIII კლასების მოსწავლეთა მხოლოდ 6-14 პროცენტია ჩარიცხული. ანალოგიური მდგომარეობაა მთელ რიგ სოფლის რაიონში, განსაკუთრებით ახალქალაქის, ადიგენის, ახალციხის, ბოგდანოვკის, გორის, დუშეთის, ყაზბეგის, კასპის რაიონებში, სადაც გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში მოსწავლეთა ჩაბმის პროცენტი 0,5-დან 9-მდე მერყეობს.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს ბავშვთა კვების ორგანიზაციის საკითხი. სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების ქსელი, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. რესპუბლიკის 545 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას საერთოდ არ გააჩნია კვების ბლოკი.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ბავშვთა კვების ორგანიზაციისათვის საჭირო პროდუქტებით მომარაგების საკითხს. სასკოლო სასადილოებსა და ბუფეტებში, საბავშვო ბაღებში, ინტერნატულ დაწესებულებებში არასაკმარისი რაოდენობით შედის რძე და რძის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი. რიგი რაიონისა და ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების სასადილოებსა და ბუფეტებში არ არის ორგანიზებული მოსწავლეთა ცხელი კერძებით კვება.

სერიოზული ნაკლოვანებებია მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საქმეში. ბოლო წლებში არ სრულდება საღამოს სკოლების კონტინგენტის გეგმა. კვლავ დიდია მეორეწლიანთა და სწავლებას ჩამოშორებული ახალგაზრდების რაოდენობა. გასულ წელს სკოლის დამთავრება ვერ შესძლო მე-8 კლასის მოსწავლეთა 6,0%-მა და მე-11 კლასის მოსწავლეთა 9,8%-მა.

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ რიგ რაიონსა და ქალაქში მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საკითხს არ ეთმობა სათანადო ყურადღება. ყველგან არ არის შექმნილი მომუშავე ახალგაზრდების სწავლებისადმი საყოველთაო ზრუნვის ატმოსფერო. სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ზოგან ძალზე სუსტად ეხმარებიან სკოლებს. ამ მიმართებით გარკვეული ხარვეზებია ზნაურის, წალკის, მარნეულის, დუშეთის, ახალციხის, კასპის, მესტიის რაიონებში, ქ. რუსთავში და სხვ.

სამინისტროსა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გატარებული ორგანიზაციული ღონისძიებების მიუხედავად, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ საგრძნობია რაოდენობა იმ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისა, რომლებიც ავარიულ, შეგუებულ და ნაქირავებ შენობებშია მოთავსებული.

მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებისა, რესპუბლიკის 3611 სკოლიდან 720 მოთავსებულია ავარიულ, შეგუებულ და დაქირავებულ შენობებში. დღეისათვის 14 საბავშვო სახლიდან 11 შეგუებულ შენობებში ფუნქციონირებს, რომელთაგან ლენინგორის, კოჯრის № 1 და № 4, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის, ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთისა და მახინჯაურის საბავშვო სახლები აგებულია 80-90 წლის წინათ და იმდენად ამორტიზებულია, რომ ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება აღსაზრდელთათვის ნორმალური გარემოს შექმნა.

გასულ წელს მოიჯარადრე ორგანიზაციებმა ექსპლოატაციაში ვერ ჩააბარეს 4 ბაგა-ბაღი 580 ბავშვადგილზე, რომელთა მშენებლობაც გათვალისწინებული იყო განათლების სამინისტროს სახსრებით. ნელი ტემპით მიმდინარეობს და შეუსრულებელიც კი დარჩა ინტერნატული ტიპის ახალი ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-გაფართოებითი სამუშაოების დროს საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული ზოგი რამ. ასპინძის საბავშვო სახლის მშენებლობა, რომელიც ექსპლოატაციაში 1981 წელს უნდა შესულიყო, მხოლოდ 1984 წელს დასრულდა, ხოლო ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთის საბავშვო სახლის მშენებლობა დღემდე დაუმთავრებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუსრულებელი დარჩა აღნიშნული დადგენილებებით გათვალისწინებული საბავშვო სახლების მშენებლობა ლენინგორსა და კოჯორში, მხოლოდ მიმდინარე წლიდან დაიწყება საბავშვო სახლის მშენებლობა ქ. თბილისისა და სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სუსტი მატერიალური ბაზა მნიშვნელოვნად ხელს უშლის სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების ქსელის განვითარებას. რესპუბლიკის რიგ, განსაკუთრებით სოფლის რაიონებში ძალზე დაბალია საშუალო და რვაწლიანი სკოლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის ტემპები. საშუალო სკოლების მხოლოდ 46,9%-ში არის 8 სასწავლო კაბინეტი. კვლავ დიდია იმ სკოლების რაოდენობა, რომლებშიც არ არის ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები.

ნაკლოვანებებია თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით სკოლების მომარაგების საქმეში. რიგ სკოლაში შეინიშნება მათი სიჭარბე, რიგში კი მკვეთრი ნაკლებობა, რაც გამოწვეულია სახალხო განათლების განყოფილებების მიერ არასწორი განაწილებით. განსაკუთრებით ბევრი პრობლემაა შრომითი სწავლების ორგანიზაციისათვის სათანადო მასალებით უზრუნველყოფის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ზემდგომ რესპუბლიკურ და საკავშირო ორგანოებში არაერთხელ იქნა დასმული საკითხი სკოლებისათვის ტრაქტორების გამოყოფის შესახებ, 1983—1984 წლებში რესპუბლიკის სკოლებისათვის არ იქნა გამოყოფილი სსრ კავშირის ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებული 240 ტრაქტორი, ამჟამად 120-მდე სკოლა, სადაც მექანიზატორთა კადრების მომზადებაა დაგეგმილი, ტრაქტორების გარეშეა.

კვლავ მტკივნეულ საკითხად რჩება სასკოლო და საბავშვო ავეჯის წარმოების საკითხი. კერძოდ ის, რომ სასკოლო ავეჯის ნომენკლატურა შეადგენს 19 ერთეულს, საბავშვო ავეჯისა კი 15-18 დასახელებას, ხოლო საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ამზადებს მხოლოდ 9 დასახელების სასკოლო ავეჯს და 7-8 დასახელების საბავშვო ავეჯს, რის გამოც განათლების სამინისტრო იძულებულია შემოიტანოს ის რესპუბლიკის ფარგლებს გარედან, რაც დამატებით სატრანსპორტო და სასაწყობო ხარჯებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულმა ხარჯებმა მარტო გასულ წელს 50,0 ათასი მანეთი შეადგინა.

სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნება განათლების სისტემის კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დროულად დაკომპლექტების საქმეში. ვერ შესრულდა 1984 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების სახელმწიფო გეგმა, ნაცვლად 2510 სპეციალისტისა სასწავლო დაწესებულებებში განაწილდა

1539, უფრო მეტი, განაწილებულთა რაოდენობიდან სამუშაოზე გამოცხადდა 426 სპეციალისტი. აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ 1984—1985 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის სკოლებს დააკლდა 496 მასწავლებელი.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სკოლებში რუსული ენის მასწავლებლებით უზრუნველყოფის საქმეში. დაბალი მაჩვენებლებია ფიზიკა-მათემატიკის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის, ფიზიკური აღზრდის, დაწყებითი სამხედრო მომზადების ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების გეგმის შესრულებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა სიძნელეები მაღალმთიანი და შორეული რაიონების კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებაში.

რესპუბლიკის ყველა რეგიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. გასულ წელთან შედარებით გაიზარდა დაქირავებულ ბინებში მცხოვრებ მასწავლებელთრა რიცხვი ქ. წყალტუბოს ზონაში (20%-ით), დუშეთის (30,5%) და წულუკიძის რაიონებში (14,1%). დღემდე უფასო კომუნალური მომსახურებით არ სარგებლობენ ასპინძის, თელავის, ხობისა და თერჯოლის რაიონების სკოლამდელი აღზრდის მუშაკები. კვლავ არ არის მოგვარებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მასწავლებელთათვის სურსათის სახელმწიფო ფასებში მიყიდვის საქმე აბაშის, ხობის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, მაიაკოვსკის, თერჯოლისა და წულუკიძის რაიონებში, რაც მასწავლებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

1984 წელს ჩატარებული მუშაობის ანალიზმა ცხადყო, რომ ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სახალხო განათლების განყოფილება, მეთოდური კაბინეტი და სკოლის ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სკოლის შესახებ სახელმძღვანელო დადგენილებების, განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების დროულად განხილვას, მასწავლებლებამდე დაყვანას და მათ პრაქტიკულად განხორციელებას. რესპუბლიკის მთელი რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიერ სწავლების შინაარსის სრულყოფისათვის ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს, განსაკუთრებით მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, მათემატიკაში, ისტორიაში და სხვა. სერიოზული ნაკლოვანებებია დაწყებითი სკოლებისა და კლასების მუშაობაში. თერთმეტწლიანი სწავლების სტრუქტურაზე გადასვლისათვის განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული ორგანიზაციული მუშაობის მიუხედავად, ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ სათანადო ყურადღება არ ეთმობა ექვსწლიან ბავშვთა სწავლებისათვის საჭირო პირობების შექმნას. მათთვის გამოყოფილი არ არის შესაფერისი ოთახები, უზრუნველყოფილი არ არის საკმაო რაოდენობის ინვენტარით, სათამაშოებით, ორგანიზებული არ არის ძილი სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებისათვის. სახალხო განათლების განყოფილებებისა და მათი მეთოდური კაბინეტების მიერ ძალზე ცოტა კეთდება სწავლების მეთოდების გაუმჯობესების, გაკვეთილის ეფექტიანობის ამაღლების, დადებითი გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების მიზნით. კვლავ შეიმჩნევა რიგ სკოლაში დირექტორებისა და მათი მოადგილეების კვალიფიციური კონტროლისა და ხელმძღვანელობის დაბალი დონე ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობაზე, სასკოლო მეთოდური გაერთიანების მუშაობაზე.

კვლავ აქვს ადგილი ფორმალიზმისა და ლიბერალიზმის ელემენტებს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში. რიგ სკოლებში შეინიშნება მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ხელოვნურად ამაღლების, მათთვის დაუმსახურებელი მაღალი ნიშნების წერის ფაქტები, რაც განსაკუთრებულად თავს იჩენს კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასებაში. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1983—1984 სასწავლო წელს I სემესტრის მონაცემებით 472 ოქროს მედლის კანდიდატიდან სკოლების სამმართველოს მიერ ჩატარებული საინსპექტორო შემოწმებებისა და საგაზაფხულო გამოცდების შედეგად 205-მა ვერ მიიღო შეფასება „5“ და ოქროს მედლის კანდიდატების რიცხვს გამოეთიშა. მათ შორის 28 ოქროს მედლის კანდიდატს ჩამოაკლდა ნიშანი განათლების სამინისტროს საგამოცდო წერითი ნამუშევრების განმხილველი კომისიის მიერ.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სკოლების ერთ ნაწილში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას, მათ იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ, შრომით აღზრდას. მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება საქმისადმი გულგრილი, ფორმალური დამოკიდებულების შემთხვევები, ამ მიმართებით წარმართული საქმიანობის ნაკლოვანებებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მარტო 1983—1984 სასწავლო წელს უღირსი საქციელისათვის სკოლიდან 29 მოსწავლე გაირიცხა.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოს მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებები სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, ბავშვთა უზედამხედველობისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, კვლავ დიდია არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებლებში მოსწავლეთა სამართალდარღვევის ხვედრითი წონა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოზარდთა სამართლებრივი აღზრდის, მათ მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისა და

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფილაქტიკისათვის გატარებულ ზომებს აკლია პრინციპულობა და ქმედითობა. ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სრულად ვერ იყენებენ „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ საგნის სწავლების აღმზრდელობითს შესაძლებლობებს. ზოგჯერ ფორმალურად უდგებიან პედაგოგიურად ხელმიშვებული მოზარდების, არაკეთილსაიმედო ოჯახების გამოვლენისა და მათთან მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს, ცალკეული სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მობილიზებას ვერ უკეთებენ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოებს დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში, ზოგან სუსტად წარმოებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღმზრდელობითი მუშაობა. რიგ შემთხვევებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, სახალხო განათლების ორგანოები ვერ ახერხებენ საზოგადოებრიობისა და შრომითი კოლექტივების სასკოლო საქმეებით დაინტერესებას. დიფერენციულად არ წარმოებს მშობელთა საყოველთაო პედაგოგიური სწავლება, პედაგოგიური ზემოქმედებისა და ყურადღების გარეშე რჩებათ არაკეთილსაიმედო ოჯახები და მათი შვილები, ცალკეულ შემთხვევებში მშობლებთან მუშაობა სტერეოტიპულია და პრიმიტიულ ხასიათს ატარებს, სწორედ ამიტომაც მშობლებთან მუშაობის სრულყოფის, სკოლის როლისა და ავტორიტეტის გაძლიერების, შვილების აღზრდისათვის მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების პრობლემა განათლების სამინისტროს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

გაუმჯობესებას საჭიროებს მოსწავლეებთან სამხედრო პატრიოტული მუშაობა. სახალხო განათლების განყოფილებები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას წვევამდელი ასაკის ახალგაზრდებთან მუშაობას. კვლავ ვერ სრულდება სამხედრო სასწავლებლებში მოსწავლეების გაგზავნის გეგმა.

ნაკლოვანებები გამოვლინდა სასწავლო იარაღებისა და მცირეკალიბრიანი შაშხანების შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფის საქმეში, ჯერ კიდევ სუსტია საგნის სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხშირია შემთხვევები, როდესაც არსებულიც კი არ გამოიყენება დანიშნულებით.

მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მოპოვებულ მთელ რიგ წარმატებებთან ერთად, კვლავ შეინიშნება ნაკლოვანებები. დაბალია ფიზკულტურის გაკვეთილის ჩატარების ხარისხი. ფიზკულტურის მასწავლებლები ნაკლებეფექტურად იყენებენ თანამედროვე, ახალ ფორმებსა და მეთოდებს, არასტანდარტულ იარაღებს. ადგილებზე ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის მშთ-ს ნორმატივების მომზადებისა და ჩატარების საქმეს, ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს ფორმალიზმს. ამასთან, საკითხის დადებითად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტას ხელს უშლის სათანადო სპორტული ბაზების (საცურაო აუზი, სასროლი ტირი) უქონლობა.

მიუხედავად რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებისა და განათლების სამინისტროს მიერ გატარებული მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებებისა, ცალკეული ქალაქისა და რაიონის სახალხო განათლების განყოფილებები კვლავ სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების საქმეს, არ ღებულობენ სათანადო ზომებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების ორგანიზაციისათვის სასწავლო კომბინატებისა და საამქროების გახსნისათვის, არ ზრუნავენ შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. არასაკმარის ღონისძიებებს ატარებენ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ჯერ კიდევ დიდია სოფლის იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი, რომლებთაც არ გააჩნიათ სასწავლო სახელოსნოები და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები. არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომაში ჩაბმის მიზნით. შრომითი სწავლების საქმეს მნიშვნელოვნად ხელს უშლის ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა მშობლიურ ენაზე შრომითი სწავლების სახელმძღვანელოების, მასწავლებელთა დამხმარე და მეთოდური ლიტერატურის გამოცემა, მით უფრო, რომ შრომითი სწავლების მასწავლებელთა დიდ ნაწილს არასპეციალისტები ან ისეთი მასწავლებლები შეადგენენ, რომლებსაც პედაგოგიური განათლება არ გააჩნიათ, რიგ რაიონსა და ქალაქში დაბალია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა დასაქმება სკოლაში მიღებული შრომითი სწავლების პროფილების მიხედვით.

კვლავ მეტი მოეთხოვება ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც ისევ არასაკმარის მუშაობას ეწევა სკოლების დასახმარებლად, კვლავ სუსტია მისი კავშირი სკოლებთან, სკოლა-ინტერნატებთან, საბავშვო ბაღებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან. ინსტიტუტის მუშაობაში კვლავ სჭარბობს წვრილთემიანობა და პრობლემების დამუშავების არაკომპლექსურობა. სამეცნიერო შრომების საკმაო ნაწილი დაბალ მეცნიერულ დონეზე სრულდება. უფრო მეტიც, რეფორმის განხორციელების პირობებში სრულიად გაუმართლებლად გაუქმებულია დაწყებითი სწავლების სექტორი.

საანგარიშო პერიოდში გარკვეული ნაკლოვანებები შეინიშნებოდა სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით მომარაგების საქმეში. 12 სახელმძღვანელო სკოლებმა მხოლოდ სექტემბრის ბოლოს მიიღეს, 5 სახელმძღვანელო — ნოემბრის ბოლოს, ხოლო მე-4 კლასის

„მათემატიკა“ — იანვრის თვეში. კვლავ დაბალია ე. წ. უნიფიცირებული სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნის ხარისხი, ოთხწლიანი სარგებლობისათვის გამიზნული ფონდირებული სახელმძღვანელები ნაცვლად დადგენილებით გათვალისწინებული № 1 ქაღალდისა, იბეჭდება № 2, № 3 და ხშირად გაზეთის ქაღალდზეც კი და რბილ ყდაში. გაუმჯობესებას საჭიროებს მეთოდური და თვალსაჩინო-დიდაქტიკური ლიტერატურის გამოცემის საქმე; გამომცემლობა „განათლების“ თემატურ გეგმაში 3-4-5 და მეტი წლების განმავლობაში ზის ცალკეული ორიგინალები. დღემდე პრობლემად რჩება სასკოლო სახელმძღვანელოების სკოლისათვის დროულად მიწოდების საქმე. საჭირო ტრანსპორტის უქონლობის გამო ხშირად ნოემბრის თვემდე ჭიანურდება სკოლებამდე წიგნების დაყვანა.

სახალხო განათლების საქმეში არსებული ნაკლოვანებები შედეგია იმისა, რომ ცალკეული ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ განათლების დაწესებულებებს, სათანადო დახმარებას არ უწევენ სკოლებს, სუსტად აკონტროლებენ და წარმართავენ მათ საქმიანობას, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის ამოცანების კომპლექსურად გადაწყვეტის საქმეში. ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის, სწავლების მეთოდების სრულყოფის, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის. მათ მუშაობაში სათანადოდ არ არის დანერგილი მიღებული დადგენილებების შესრულების სისტემატური კონტროლი და შემოწმება, საკმაო ყურადღება არ ექცევა შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულყოფას, სასკოლო ინსპექციის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, მისდამი დაქვემდებარებულმა რესპუბლიკურმა დაწესებულებებმა:

1. 1. თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების ისტორიული დადგენილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983 წ.) და აპრილის (1984 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერა-

ლური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-მჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტატიებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, რესპუბლიკის მასწავლებელთა მე-5 ყრილობის რეკომენდაციები. შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნების უთუო შესრულებას;

1. 2. გააღრმაონ და სრულყონ მოსწავლე ახალგაზრდობას შორის აღმზრდელობითი მუშაობა, აქტიურად გამოიყენონ მისი ფორმები და მეთოდები პიროვნების იდეურ-ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ჩამოყალიბებისათვის, მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებისათვის;

აამაღლონ პედაგოგიური კოლექტივების, მეთოდური სამსახურების, მოსწავლეთა თვითმმართველი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა ამ საქმეში;

ქმედითად გამოიყენონ დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის იუბილესათვის მზადება მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში;

1. 3. ყოველმხრივ გააანალიზონ და თვითკრიტიკულად შეაფასონ ჩატარებული მუშაობის შედეგები. მეტი შეუპოვრობა და მიზანსწრაფულობა გამოიჩინონ მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საქმეში. აამაღლონ პედაგოგიური კადრების აქტივობა და პერსონალური პასუხისმგებლობა დასახული ამოცანების გადაჭრისათვის. სახალხო განათლების ყველა რგოლში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით მიაღწიონ ეფექტიანობის ამაღლებას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას;

1. 4. გააძლიერონ ორგანიზატორული საქმიანობა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განსახორციელებლად. შეიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ სათანადო ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შესაბამისად. გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელის შემდგომი მოწესრიგებისა და განვითარებისათვის, სრულყონ საალმზრდელო მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია;

1. 5. განაგრძონ მუშაობა სასკოლო ქსელის განლაგების შემდგომი სრულყოფისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის რვაწლიანი სკოლების საჭირო კონტინგენტით შევსებას, გააანალიზონ ცალკეული დაშორებული სოფლებიდან ბავშვების სკოლებამდე ტრანსპორტირების საქმეში არსებული ხარვეზები და მდგომარეობის გამო-

სასწორებლად მიიღონ დამატებითი ზომები, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ ამ საქმეში სხვა რესპუბლიკებში დაგროვილი გამოცდილება;

1. 6. გააძლიერონ მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის გეგმაზომიერი სრულყოფისათვის. მიიღონ ზომები სახალხო განათლების დარგში კაპიტალურ დაბანდებათა მთლიანად ათვისებისათვის, აამაღლონ მომთხოვნელობა მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციებისადმი, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასკოლო, სკოლამდელი და სახალხო განათლების სხვა ობიექტების კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულება და ამ ობიექტების ექსპლოატაციაში დროულად გადაცემა. მიიღონ ზომები თვალსაჩინოებით, დიდაქტიკური მასალებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით სკოლების უზრუნველყოფისათვის;

მიიღონ ზომები 1985 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების შესაფერისი საკლასო ოთახებით, მერხებით, ხოლო გახანგრძლივებული დღის ჯგუფების საწოლებითა და სხვა საჭირო ინვენტარ-მოწყობილობებით, სათამაშოებით მაქსიმალურად უზრუნველყოფისათვის;

1. 7. გააძლიერონ მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების უზრუნველსაყოფად, დააწესონ მკაცრი კონტროლი განათლების ობიექტების კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებაზე;

1. 8. პერიოდულად მოამზადონ სათანადო მასალები სახალხო განათლების განვითარების საგეგმო დავალებათა შესრულების შედეგებზე და საბიუჯეტო ასიგნებათა ათვისების მაჩვენებლებთან ერთად წარუდგინონ ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, მათთან ერთად დასახონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

1. 9. გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით.

დაგეგმონ და წლის განმავლობაში შეამოწმონ სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულების მდგომარეობა, გააანალიზონ მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების საქმეში გაწეული მუშაობა, უფროსკლასელებთან ფართოდ გამოიყენონ სწავლების ისეთი ფორმები, როგორიცაა ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, გასაუბრება და სხვ.;

1. 10. გამოავლინონ ცალკეულ რვაწლიან და საშუალო სკოლაში არსებული გამოუყენებელი რეზერვები სასწავლო კაბინეტების გახსნისა და არსებული ნუსხის მიხედვით აღჭურვის საქმეში, უზრუნველყონ აუცილებელი კაბინეტების გახსნა ყველა საშუალო სკოლაში, ხოლო ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიისა — რვაწლიან სკოლებში;

1. 11. სისტემატური კონტროლი გაუწიონ სკოლებში არსებული დანადგარების დროულ დამონტაჟებასა და ექსპლოატაციას; მიაღწიონ იმას, რომ სკოლების მიერ შესყიდული სწავლების ტექნიკური საშუალებები, მანქანა-დანადგარები და ხელსაწყოები მაქსიმალური უკუგებით იყოს გამოყენებული მეცნიერებათა საფუძვლების უკეთ დაუფლების სამსახურში:

1. 12. განახორციელონ ღონისძიებანი შრომითი სწავლებისათვის საჭირო ტექნიკითა და მასალებით (ქსოვილი, ხე-ტყე) მოსწავლეთა უზრუნველსაყოფად, აგრეთვე შრომითი იარაღებით ბაგა-ბაღების უფროსი ჯგუფებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების დასაკმაყოფილებლად;

მოსწავლეთა ასაკის, ფიზიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ფართოდ დანერგონ მწარმოებლური შრომა იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში. მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის ორგანიზაციაში აქტიურად ჩაებან სკოლების საბაზო საწარმოები:

1. 13. გაატარონ ღონისძიებები უფროსკლასელთა პროფესიული მომზადების გაუმჯობესების მიზნით სკოლაში შემოღებული შრომითი სწავლების პროფილების შესაბამისად, იზრუნონ იმისათვის, რომ რაიონულ ცენტრებში გაიხსნას სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები, სასკოლათაშორისო საამქროები, უბნები, ადგილობრივი გამოთვლითი ცენტრების ბაზაზე შემოიღონ „პროგრამისტ-ლაბორანტების“ მომზადება;

1. 14. ყოველმხრივ წაახალისონ და ხელი შეუწყონ მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო მეურნეობების (კოლმეურნეობების) ჩამოყალიბებასა და საქმიანობას არსებული დებულების შესაბამისად, რაც სოფლად მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომაში ჩაბმის უკეთეს შესაძლებლობებს იძლევა, გააფართოონ სკოლებთან არსებული პროფტექნიკური სასწავლებლების ჯგუფებისა და ფილიალების ქსელი;

1. 15. სკოლების საბაზო საწარმოებთან ერთად უზრუნველყონ პროფორიენტაციის კაბინეტების (კუთხეების), ტექნიკური და მომსახურებითი შრომის სასკოლო და სასკოლათაშორისო სახელოსნოების გახსნა ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში;

1. 16. მიაღწიონ თითოეული პედაგოგის თეორიული და პრაქტიკული დონის ამაღლებას, მათ სათანადო ტექნიკურ წიგნიერებას, რათა თავისუფლად ფლობდნენ სწავლების ტექნიკურ საშუალებათა — თანამედროვე რთული აპარატურის გამოყენების ხერხებსა და მეთოდებს;

1. 17. იზრუნონ, რათა მომზადდეს მყარი საფუძველი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში ახალი საგნის „საოჯახო ცხოვრების ეთიკისა და ფსიქოლოგიის“ კურსის 1985—1986 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსაღებად. უზრუნველყონ ამ საგნის მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გაგზავნა;

1. 18. გააუმჯობესონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობა, უზრუნველყონ საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ყველა ახალგაზრდის სწავლებაში ჩაბმა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაყენება. ახალგაზრდების შრომასთან სწავლის შეთავსების მიზნით ამ საქმეში აქტიურად ჩააბან პარტიული, სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები;

1. 19. განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცება-სრულყოფის უზრუნველსაყოფად. დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებების აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობების, კულტურულ-სამედიცინო მომსახურებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

1. 20. საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილებების თანახმად რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად, შეიმუშაონ ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების გეგმა და არსებული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ სისტემატური კონტროლი დააწესონ მის შესრულებაზე;

1. 21. მკაცრი კონტროლი დააწესონ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვაზე. დასახონ ოპერატიული ღონისძიებები არამარკირებული ინვენტარის გაცემის ჯერ კიდევ არსებული ფაქტების საბოლოოდ აღმოფხვრისათვის, არ დაუშვან საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების შესანახად გათვალისწინებული თანხების რეალური საჭიროებისა და აუცილებლობის გარეშე გაცემის არც ერთი შემთხვევა;

1. 22. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები სკოლის დღის რეჟიმში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, არ დაუშვან ფორმალიზმი მშთ ნორმატივების ჩაბარებაში. უფრო აქტიური გახადონ ბავშვთა კომპლექსური სპორტული სკოლების დახმარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი ბავშვთა მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში. ამასთანავე, ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლების ბაზაზე უზრუნველყონ მაღალი თანრიგის მოსწავლე სპორტსმენთა მომზადება;

1. 23. მიღებულ იქნას ოპერატიული ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შორის უზედამხედველობისა და სამართალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევის თავიდან აცილებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ეთმოს ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთობლივი მუშაობის გაუმჯობესებას.

2. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა:

2. 1. მიიღონ გადამჭრელი ზომები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა ეტაპობრივი განხორციელების ღონისძიებათა გეგმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 5 ივნისის № 11/1 გადაწყვეტილების განუხრელად შესრულებისათვის;

2. 2. სისტემატურად აამაღლონ სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელი როლი, უნარიანად შეუხამონ დროული კონტროლი ქმედით დახმარებას, მიაღწიონ თითოეული მმართველობითი რგოლის დამოუკიდებლობას და მაღალ პასუხისმგებლობას მათ წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტაში. ორგანიზაციულ-პედაგოგიური და მეთოდიკური მუშაობა გახადონ მაქსიმალურად კონკრეტული, საქმიანი და ოპერატიული.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი), ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი), მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა), სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) გააძლიერონ მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროგრამების სრულყოფაზე, გეგმაზომიერად წარმართონ ამ პროგრამების შესაბამისად ახალი სახელმძღვანელოების, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურის მომზადება, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათ იდეურ-ზნეობრივ მიმართულებას, ძირითადი ცნებებისა და დებულებების გულდასმით შერჩევას, მოცემული მასალის მისაწვდომობას, ზედმეტი და მეორეხარისხოვანი მასალისაგან განტვირთვას, საგანთაშორის კავშირის გაძლიერებას;

3. 1. მკაცრი კონტროლი დააწესონ სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, მეთოდიკური და დამხმარე ლიტერატურის დაბეჭდვაზე, ზოგადსაგანმანთალებლო სკოლებამდე მათ ორგანიზებულ დაყვანაზე;

3. 2. დროულად შეიმუშაონ და გამოსცენ თერთმეტწლიანი სკოლის მე-2 კლასის პროგრამები, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალები, მეთოდური მითითებები, რეკომენდაციები.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განიხილოს საკითხი სსრ კავშირის ზემდგომი ორგანოების შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბამისი დადგენილებით მძღოლ-მექანიზატორთა კადრების მომზადების თაობაზე მიღებული დავალების შესრულების ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე ან უშუალოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროზე დადგენილებაში მითითებული ტექნიკის გამოყოფის გზით.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს განიხილოს სასკოლო და საბავშვო ასორტიმენტის ავეჯის წარმოების, მისი ასორტიმენტული გაფართოებისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების საკითხები.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა განხორციელების უზრუნველსაყოფად განათლების სამინისტროს 1985 წელს გამოუყოს I კატეგორიის ვალუტა (50 ათასი მან.) იმპორტული სასკოლო მიკროკომპიუტერების შესაძენად.

7. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში" (ამხ. ნ. შველიძე) და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

8. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეებს ამხ. ამხ. მ. კობახიძეს, მ. დარჩიას, ო. დოლიძეს, თ. ვაჩნაძეს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია იმედოვნებს, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის მუშაკები არ დაზოგავენ ძალას, ცოდნას და გამოცდილებას, რათა 1985 წელს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების მეორე წელს ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება

მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1985 წლის იანვრის კონფერენციების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1985 წლის იანვრის კონფერენციებმა, რომლის დღის წესრიგში იყო „სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითად მიმართულებათა განხორციელების მიმდინარეობა და ამოცანები", მაღალორგანიზებულად, საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. კონფერენციებზე მკაფიოდ გამოიკვეთა სახალხო განათლების სისტემაში მომხდარი ძვრები „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა" განხორციელების ფონზე. კონფერენციების მსვლელობამ ცხადყო სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაკების შრომითი კოლექტივების მჭიდრო, საქმიანი ურთიერთთანამშრომლობა სკოლის რეფორმის მოთხოვნათა პრაქტიკული განხორციელებისათვის.

იანვრის კონფერენციების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ წარმატებით განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადაყვანა და 1-ლ კლასში ექვსწლიანთა სწავლება, რასაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ადგილებზე ჩატარებულმა მოსამზადებელმა მუშაობამ.

განმტკიცდა სკოლების და სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზები, განათლების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად მოეწყო ექვსწლიანთა საკლასო ოთახები, შეიქმნა გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, რომლებშიც უზრუნველყოფილ იქნა მეცადინეობის, თამაშის, ძილისა და დასვენების ნორმალური პირობები, გაუმჯობესდა სასკოლო კვების ორგანიზაცია, ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში სამუშაოდ შეირჩნენ და დაინიშნენ სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები, რომლებმაც მასწავლებელთა დახელოვნების სპეციალურ კურსებზე დამატებით საკვალიფიკაციო მომზადება გაიარეს. აღნიშნული კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები დროულად იქნენ უზრუნველყოფილნი სასწავლო პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურით. მარტო ექვსწლიანთა 1-ლი კლასებისათვის დამატებით გამოიცა სახელმძღვანელოები 20-ათასიანი ტირაჟით, ამდენივე დამხმარე სახელმძღვანელო ქართული ენის მასწავლებელთათვის, 11 დასახელების მეთოდური რეკომენდაციები და სხვ. კარგად იქნა ორგანიზებული ექვსწლიანთა ჩარიცხვა, სწავ-

ლება, აღზრდა და დასვენება სკოლამდელ დაწესებულებათა 1-ლ კლასებში.

ექვსწლიანებთან მუშაობაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ისინი წარმატებით ძლევენ პროგრამით დასახულ ამოცანებს, ცოდნისა და ათვისების უნარის მხრივ არაფრით ჩამოუვარდებიან შვიდწლიანთა 1-ლი კლასების მოსწავლეებს.

იანვრის კონფერენციებზე ნათლად გამოიკვეთა ცხოვრებით ნაკარნახევი ტენდენცია „რაც უფრო მჭიდროდ დავუახლოვებთ ერთმანეთს სკოლასა და წარმოებას, მით უფრო სრულფასოვანი იქნება რეფორმის უკუგება" (კ. უ. ჩერნენკო), ამიტომაც კონფერენციებზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული მომზადების უზრუნველყოფის გზების, საშუალებების ძიებას. აღინიშნება, რომ რიგ ქალაქებსა და რაიონებში წარმატებით ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილება, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 31 ივლისის შესაბამისი დადგენილება „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ". მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბევრგან ამ მიმართებით მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. იანვრის კონფერენციებზე გაცხოველებული მსჯელობის საგნად იქცა საჩხერის რაიონის გამოცდილება სკოლა — კოლმეურნეობების შექმნის თაობაზე. ცნობილი გახდა, რომ ამ ინიციატივას წარმატებით აუბეს მხარი მახარაძის, გორისა და საგარეჯოს რაიონების მშრომელებმა, სახალხო განათლების მუშაკებმა, მოსწავლეებმა. ამჟამად სკოლა-კოლმეურნეობების რიცხვი 48-მდე გაიზარდა 3600 მოსწავლით. კმაყოფილებით აღინიშნა რიგი საბაზო საწარმოს მუშაობა (ქ. თბილისის საწარმოო გაერთიანება „თემქა", ქ. ქუთაისის გაერთიანება „გელათი", ავტოქარხანა" და სხვ.) კონფერენციების მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს სკოლის ბაზაზე შექმნილი პროფტექნიკური ჯგუფების მუშაობის გამო და მოითხოვეს მათი ქსელის კიდევ უფრო გაფართოება, მათვე მოითხოვეს, რომ შრომითი სწავლების პროფილის განსაზღვრისას ყოველთვის გაითვალისწინონ ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე მოთხოვნები, წინადადებები.

მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა იანვრის კონფერენციებზე კვლავ მწვავედ იდგა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის განუხრელი სრულყოფის საკითხი. კონფერენციის ძირითადი მოხსენებებისა და გამოსვლების დიდ ნაწილს საფუძვლად ედო სკოლის რეფორმის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მისცეს მოზარდ თაობას მეცნიერების საფუძვლების ღრმა და მტკი-

ცე ცოდნა, გამოუმუშაოს მათ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბოს მატერიალისტური მსოფლმხედველობა, აღინიშნა, რომ ამ მხრივ სკოლებში ბევრი კეთდება, თუმცა გასაკეთებელი კვლავაც ბევრია.

ამასთან, იანვრის კონფერენციებზე თავი იჩინა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებმა და პრობლემებმა, რომელთა გადაჭრა გადაუდებელ, სადღეისო ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვს. აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ დაბალია დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების ხარისხი, ექვსწლიანთა 1-ლ კლასს არ გააჩნია „გარესამყაროს გაცნობის" სახელმძღვანელო, ექვსწლიანთა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების არსებობის აუცილებელ პირობად დადგენილია მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა (30), რაც აძნელებს რიგ რაიონში მათ გახსნას. რაიონების გარკვეულ ნაწილს საკმაო რაოდენობით არ მიუღია „გარესამყაროს გაცნობის" რვეულები.

ნაკლოვანებებია შრომით სწავლებაში. რესპუბლიკის ქართულ სკოლებს დღემდე არ გააჩნიათ მომსახურებითი შრომის სახელმძღვანელოები და არც რაიმე რეკომენდაცია ან მითითება მიუღიათ, მაშინ როცა რუსულ ენაზე დიდი ხანია არსებობს შესანიშნავად გამოცემული სახელმძღვანელოები და მასწავლებელთა დამხმარე ლიტერატურა, ამ მხრივ არც შრომის სხვა პროფილებშია სახარბიელო მდგომარეობა. უხარისხო და საქმისათვის თითქმის გამოუსადეგარია სკოლის სახელოსნოებში არსებული სამუშაო იარაღები, მათი ახლით შეცვლა კი ჭიანურდება. რიგი რაიონის სკოლები ცუდად ან სრულიად არ მარაგდება ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებით, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, ამასთან, ამ იარაღების შერჩევისას არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკს, ფიზიკურ შესაძლებლობებს, რიგ ქალაქსა და რაიონში არასაკმარისია სამრეწველო საწარმოთა მიერ სკოლებისადმი საშეფო დახმარება, ჭიანურდება სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების მშენებლობა, სკოლებს ერთ ნაწილში, ავტომანქანის ან ტრაქტორის უყოლობის გამო, მხოლოდ თეორიული სწავლება მიმდინარეობს. სკოლები დიდი ხანია მოითხოვენ მთელ რიგ უნიფიცირებულ სასწავლო დისციპლინაში სტაბილურ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს. გვიან ითარგმნა და სკოლებმა სემესტრის დაწყების შემდეგ დაგვიანებით მიიღეს მე-4 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო, ზოგან ადგილებზე არ არის დაყვანილი სიმღერა-მუსიკის პროგრამები და ფირები ექვსწლიანებისათვის, კრიტიკას ვერ უძლებს რიგი სახელმძღვანელოს თარგმნის ხარისხი.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამ-

მართველომ მიმდინარე სასწავლო წლის განვლილ სემესტრში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების მიერ სკოლის რეფორმის განხორციელებისათვის ჩატარებული მუშაობის ანალიზის საფუძველზე დასახონ კონკრეტული ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და რეფორმის მიზანდასახულობათა პრაქტიკული ხორცშესხმისათვის.

2. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა საფუძვლიანად განიხილონ მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა იანვრის კონფერენციების მასალები, გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების (თან ერთვის) ღრმა ანალიზის საფუძველზე დასახონ და განახორციელონ სასკოლო მუშაობის სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებები, რისთვისაც მჭიდრო, საქმიანი კონტაქტი დაამყარონ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, სამრეწველო და სამეურნეო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან; სკოლის რეფორმის მიზანდასახულობათა პრაქტიკულად ხორცშესხმის, სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის აქტიურად გამოიყენონ პრესა, რადიო და ტელევიზია.

3. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე), ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. რ. ძერია) თავიანთ ფურცლებზე მეტი ადგილი დაუთმონ სკოლის რეფორმის განხორციელების პრობლემებს, უფრო აქტიური პოზიცია დაიკავონ მისი სრულყოფილად განხორციელებისათვის ბრძოლაში.

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში", დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში. კონტროლი მის შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1985 წლის იანვრის კონფერენციებზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები

№№	შენიშვნა, წინადადება	ვინ გამოთქვა (გვარი, სახელი, მამის სახელი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა)	ვის მიმართ, გამოითქვა შენიშვნა, წინადადება
1	სასკოლო ქსელის გაფართოების მიზნით საჭიროა ფუთის, ილემის, სანახშირის, ცხენთაროს, რკვიის რვაწლიანი სკოლების საშუალო სკოლებად გადაკეთება, ხოლო ბოსლევში, წიფლავაკეში, ტაბაკინში, შროშასა და რკვიაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გახსნა.	ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ბურჯანაძე	საგეგმო-საფინანსო სამმართველო
2	კარგი იქნება თუ ჟურნალი „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“ თავის ფურცლებზე გადმოთარგმნის ჟურნალ „მათემატიკა ვ შკოლე“-დან თემატურ გეგმებს, საკონტროლო წერის ვარიანტებს და მეთოდურ მითითებებს.	ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის დირექტორი ა. კობახიძე	ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“
3	სამინისტროს ბრძანების თანახმად სკოლების დირექტორებს ეკრძალებათ სემესტრში 2 დღეზე მეტი დროით მოსწავლეთა გათავისუფლება ოჯახური პირობების გამო. მართებულად მიგვაჩნია, რომ მოიხსნას გაკვეთილებიდან გათავისუფლების დადგენილი ზღვარი.	ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე თ. ფირცხალაშვილი	

1	2	3	4
4	შეფი ორგანიზაციები არ ითვალისწინებენ რეფორმის მოთხოვნებს, ხელს არ უწყობენ სკოლებს, არ ცდილობენ საკუთარი წვლილი შეიტანონ მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.	ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ჩქარეული	სკოლების სამმართველო
5	გომის საშუალო სკოლის ძველი კორპუსის რეკონსტრუქციის ხარჯზე საჭიროა საწარმოო კომბინატის გახსნა სოფლის სკოლებისათვის.	ხაშურის რაიონის სოფელ გომის საშუალო სკოლის დირექტორი კ. ცხოვრებაშვილი	სკოლების სამმართველო
6	ქუთაისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი ამზადებს არაკვალიფიციურ კადრებს. ეთხოვოს განათლების სამინისტროს საკითხი დააყენოს შესაბამისი უწყების წინაშე.	თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ც. ღიბრაძე	კადრების სამმართველო
7	საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების და სკოლაში სწავლებისათვის ბავშვთა მომზადების შესახებ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის დადგენილების შესაბამისად უკვე გაჩნდა ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება „სკოლა-საბავშვო ბაღი". საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სოფლის რაიონებს მიაწოდოს ამ დაწესებულებათა შექმნისა და მუშაობის ორგანიზაციის წესი, ამასთან შემუშავებულ იქნას ამ დაწესებულებათა ტიპური პროექტი.	ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. კალანდია	სკოლების სამმართველო

1	2	3	4
8	აუცილებელია დუშეთში საწარმოო კომბინატის გახსნა.	დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ვ. გოგოლაური	სკოლების სამმართველო
9	საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საბაზო საწარმოებმა შექმნან თავიანთ სკოლებში შრომითი სწავლების, აღზრდის, პროფორიენტაციისა და მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ჩაბმის სრული პირობები.	დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ვ. გოგოლაური, ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგე გ. თავართქილაძე	სკოლების სამმართველო
10	საბავშვო ბაღები და სკოლები ცუდად მარაგდებიან კვების პროდუქტებით.	გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ზ. ზაქარეიშვილი	„
11	ორბეთის სკოლა და მანგლისის სკოლის მიშენებული ნაწილი ჩაბარდა გათბობის სისტემის გარეშე. სკოლის ხელმძღვანელობა იძულებულია ახალ შენობებში შეიტანოს თუნუქის ღუმელები.	თეთრი წყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგე თ. მელაძე	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
12	გადაუდებელი საქმეა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს დასახლებაში გახანგრძლივებული დღის სკოლის გახსნა.	ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგე გ. თავართქილაძე	საგეგმო-საფინანსო სამმართველო
13	არ არის საკმარისი რაოდენობით შექმნილი პროგრამულ მასალასთან კავშირში კინოფილმები, დიაფილმები, დიაპოზიტივები, არ არის მუსიკის გაკვეთილებზე მოსასმენი ფირფიტები.	აბაშის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ცანავა	სკოლების სამმართველო

1	2	3	4
14	აბასთუმნის საშუალო სკოლა ყოველწლიურად ახალ სახელმძღვანელოებს ითხოვს, ვინაიდან აბასთუმანი დახურული ზონაა, მოსწავლეთა მშობლების ნაწილი დაავადებულია ტუბერკულოზით, ამიტომ მოსწავლეთა მიერ ერთ წელს ნახმარი სახელმძღვანელოების სხვისთვის გადაცემა მიზანშეწონილი არ არის და მშობლებიც პრეტენზიას აცხადებენ.	ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ზაზაშვილი	სახელმძღვანელოების სამმართველო
15	ისტორიის სახელმძღვანელოები გადატვირთულია ფაქტებითა და თარიღებით, აჯობებს IX-X კლასებში ამჟამად არსებული სახელმძღვანელოს ნაცვლად შეიქმნას ერთი სახელმძღვანელო, სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოცემული იქნება სსრ კავშირის, საქართველოს ისტორიისა და მსოფლიო ისტორიის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.	ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქვის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი ე. სურგულაძე	სახელმძღვანელოების სამმართველო
16	საჭიროა გაუმჯობესდეს დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების ხარისხი.	„	„
17	ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში ჯერ კიდევ მიღებული არაა ახალი საგნი—„გარესამყაროს“ გაცნობის სახელმძღვანელო.	ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი ნ. ღაღაიშვილი, კასპის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი ნ. მჭედლიშვილი	„

1	2	3	4
18	საჭიროა ქართულ ენაზე ითარგმნოს რუსული სახელმძღვანელო — „პიონერული და კომკავშირული მუშაობის მეთოდიკა“.	ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი	სახელმძღვანელოების სამმართველო
19	შრომით სწავლებაში IV-VIII-IX-X კლასებისათვის არ არის სტაბილური სახელმძღვანელოები, მასწავლებლები განიცდიან მეთოდური ლიტერატურის ნაკლებობას.	მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი ვ. კბილაშვილი	„
20	რაიონებში არ შემოსულა მე-4 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო.	ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითის საშუალო სკოლის დირექტორი ი. ჟღენტი, ხაშურის რაიონის მე-3 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ამირხანოვი, გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ლუაშვილი, თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილების გამგე	„
21	სასკოლო სახელმძღვანელოების პოლიგრაფიული გაფორმება მოითხოვს ძირეულ გაუმჯობესებას, ოთხი წლის მანძილზე ძნელდება სახელმძღვანელოების გამოყენება.	ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ჩქარეული	სახელმძღვანელოების სამმართველო

1	2	3	4
22	სკოლები არ რის. უზრუნველყოფილი შრომითი სწავლების ციკლის სახელმძღვანელოებით, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური შრომა, ტრაქტორის სწავლება და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწავლება, გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღმზრდელები მინიმალურადაც კი არ არიან მომარაგებული დამხმარე ლიტერტურით.	ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. კალანდია	სახელმძღვანელოების სამმართველო
23	ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მასწავლებლებს არ აქვთ საკმაო რაოდენობის სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა.	გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ზ. ზაქარეიშვილი	„
24	დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის ძნელი ხელმისაწვდომია ვ. რამიშვილის რედაქციით გამოსული მეთოდური კრებული „ქართული ენის გაკვეთილები", არ არის არავითარი მეთოდური ლიტერატურა სიმღერა-მუსიკაში.	ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგე გ. თავართქილაძე, აბაშის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ცანავა	„
25	რაიონის სკოლების მეათეკლასელები განიცდიან უცხო ენების სახელმძღვანელოების ნაკლებობას, 2 წელია რაიონში არ შემოსულა უცხო ენის სახელმძღვანელოები.	გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ლუაშვილი	„
	ლელოვანის საშუალო სკოლაში რამდენიმე წელია ტრაქტორი მხოლოდ თეორიულად ისწავლება.	ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ზაზაშვილი	მომარაგების მთავარი სამმართველო

1	2	3	4
27	ვარხნის საშუალო სკოლა ითხოვს ახალ დტ-75 მარკის ტრაქტორს, რადგან არსებული ძალიან ძველია და ჩამოწერას **ექვემდებარება.**	ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ზაზაშვილი	მომარაგების მთავარი სამმართველო
28	სკოლა არ მარაგდება ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებით, დაბალია პრაქტიკული მუშაობის ხარისხი, რაც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო იარაღების უქონლობით.	მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი	»
29	საჭიროა სატვირთო ავტომანქანის გამოყოფა ბაღების პროდუქტებით მომარაგებისათვის.	ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის საბავშვო ბაღის გამგე ვ. ბალახაშვილი	»
30	რაიონის საშუალო სკოლას არ ყავს ავტომანქანა პრაქტიკული მეცადინეობისათვის.	ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ჩქარეული	»
31	განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა თვალსაჩინოების ბაზებმა გაითვალისწინონ და შემოზიდონ გეოგრაფიული რუქები, ატლასები, კონტურული რუქები და სხვა აუცილებელი მასალა.	ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. კალანდია	»
32	ვერ მოგვარდა ცენტრალიზებული წესით დაწყებითი კლასებისათვის სპეციალური დახაზულობის დაფების გამოშვება.	ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. კალანდია	»

1	2	3	4
33	შრომითი სწავლების კაბინეტებს აკლიათ მასალა, ხელსაწყო-იარაღები, კარადები, კინოაპარატების ობიექტივები, ითხოვენ დახმარებას მათ შესაძენად, საბავშვო ბაღებს აკლია სპორტული ინვენტარი და სათამაშოები.	გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ხუროძე	მომარაგების მთავარი სამმართველო
34	ფილმოთეკა მომარაგდეს დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამოქალაქო თავდაცვის საკითხებზე სასწავლო კინოფილმებითა და დიაპოზიტივებით.	გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ხუროძე	„
35	მშენებლობის გეგმაში ჩაისვას კახარეთისა და ზარზმის რვაწლიანი სკოლების მშენებლობა, რომლებიც მშენებლობაში ჩასმული იყო 1975 წლის დადგენილებით.	ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ზაზაშვილი	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
36	ნაქირავებ და ავარიულ შენობაში მყოფი დაწყებითი სკოლებისათვის (კეხოვანი, კიკიბო, არზე, გომერო) გამოიყოს ფინური ბინები.	ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ზაზაშვილი	„
37	დაჩქარდეს აბასთუმნის საშუალო სკოლის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა.	ადიგენის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ზაზაშვილი	„
38	მოითხოვენ სასწავლო-საწარმოო კომბინატის აშენებას.	საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. ჭანტურია	„

1	2	3	4
39	ავარიულ მდგომარეობაშია სპორტსკოლა, მატერიალური ბაზის უქონლობის გამო მუშაობს მხოლოდ ჭიდაობის სექცია, ამიტომ აუცილებელია მისი აშენება.	ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ლ. მეესხიძე	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
40	აუცილებელია 1-ლი საშუალო სკოლის შენობაზე მე-4 სართულის დაშენება.	ბორჯომის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის ორგანიზატორი ფ. მანგველიშვილი	„
41	სკოლის შენობაზე 12 საკლასო ოთახის მიშენება.	ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ჩუტკერაშვილი	„
42	ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ტიპური პროექტით გაკეთებული ბაგა-ბაღების ბრტყელი გადახურვა, ჩვენი ქალაქის სინამდვილეში იგი არ გამოდგა.	ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე თ. ფირცხალაშვილი	„
43	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საგრძნობი ნაწილი დაქირავებულ შენობებშია მოთავსებული. არ წარმოებს მშენებლობა საინიციატივო წესით, საჭიროა მშენებლობის წარმოება განათლების სამინისტროს კაპდაბანდების თანხებით.	ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ჩქარეული	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
44	აუცილებელია საშუალო სკოლის შენობების აშენება დუშეთში, მჭადიჯვარში, ლაფანაანთკარსა და მაღაროსკარში.	დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ვ. გოგოლაური	„

1	2	3	4
45	აუცილებელია სკოლა-ინტერნატების აშენება შატილში პირიქით ხევსურეთის ბავშვების დასაკმაყოფილებლად, შუაფხოში — უკანაფშავის სოფლის ბავშვების და მთიულეთის უკიდურესად შორი სოფლების ბავშვებისათვის — ხადაში.	დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ვ. გოგოლაური	კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
46	ავარიულ შენობებშია მოთავსებული ასურეთის, ერთის, წინწყაროს საშუალო სკოლები.	გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ზ. ზაქარეიშვილი	„
47	1986 წლისათვის დაიგეგმოს სოფელ წყემისა და გაუწყინარის რვაწლიანი სკოლების მშენებლობა, რომელთა ტექნიკური დოკუმენტაცია შედგენილია 1979 წელს.	აბაშის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ცანავა	„
48	1985—1987 წლებში გაითვალისწინონ ბნავისას, ტირძნისის, აძვისა და ბერბუკის სასკოლო შენობების მშენებლობა.	გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ჩხეიძე	„
49	დაისვას საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ზოგადტექნიკურ ფაკულტეტებზე მისაღებ კონტინგენტში ვაჟებისათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ.	საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. ჭანტურია	კადრების სამმართველო
50	კაბინეტურ სწავლებაზე გადასული სკოლებისათვის საკმარისი არ არის ერთი ლაბორანტი, ამიტომ საჭიროა გაიზარდოს მისი საშტატო ერთეული.	ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ლ. მესხიძე	კადრების სამმართველო

1	2	3	4
51	რაიონების სკოლები განიცდიან შრომითი სწავლებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების კვალიფიციური კადრების სიმცირეს.	ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ბურჯანაძე	კადრების სამმართველო
52	იმის გამო, რომ ქ. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაუქმდა ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი, სკოლები განიცდიან ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა ნაკლებობას.	ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე თ. ფირცხალაშვილი	„
53	სკოლის ხელმძღვანელ მუშაკებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში იწვევენ, მაშინ როდესაც ადგილზე გვაქვს საკმაოდ ავტორიტეტული დახელოვნების ინსტიტუტი.	ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე თ. ფირცხალაშვილი	„
54	რაიონი განიცდის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ნაკლებობას.	ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ჩქარეული	„
55	ნაკლოვანებებია სამუსიკო სტუდიების მუშაობაში, არ არის კადრები, კარგი იქნება თუ სამინისტრო დახმარებას გაუწევს რაიონს სოფლად მუსიკალურ სასწავლებელდამთავრებულ სპეციალისტთა გაგზავნის საქმეში.	ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. ჩქარეული	„
56	მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეთხოვოს განათლების სამინისტროს, რათა მოეწყოს გრძელვადიანი კურსები (თუნდა 3-თვიანი) შრომითი სწავლების მასწავლებელთათვის.	ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. კალანდია	„

1	2	3	4
57	განათლების განყოფილებას მიეცეს ლიმიტი თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში სამხედრო ხელმძღვანელთა მოსამზადებლად.	გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ხუროძე	კადრების სამმართველო
58	რაიონი საჭიროებს შრომითი სწავლების კვალიფიციურ სპეციალისტებს.	ონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. დგვარელი	„
59	საჭიროა რაიონის სკოლებში დაუშვან ქორეოგრაფისა და ქორმეისტერის საშტატო ერთეულები.	ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილება	აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
60	ნაკლოვანებებია სამუსიკო სტუდიების მუშაობაში, რაც გამოწვეულია სამუსიკო სასწავლებელდამთავრებულ სპეციალისტთა ნაკლებობით, საჭიროა კახათსა და ზემოეწერში სამუსიკო, ხოლო რაიონში ქორეოგრაფიული სკოლის გახსნა.	ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. კალანდია	„
61	სკოლის საშუალო რგოლის მასწავლებლებმა ცუდად იციან პიონერული საქმიანობა, რაც ართულებს პიონერხელმძღვანელთა მუშაობას.	ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგე გ. თავართქილაძე	„
62	საბაზო საწარმოს ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია. ჯერ კიდევ ვერ წარმართავს საქმიანობას სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციებთან სასკოლო რეფორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე.	ქ. რუსთავის განათლების განყოფილების გამგე გ. თავართქილაძე	„

1	2	3	4
63	დაისვას საკითხი დაუსწრებელ სკოლებში სწავლების ვადების შემჭიდროების შესახებ იმ ანგარიშით, რომ სწავლა დაიწყოს ნოემბერში და დამთავრდეს მარტში, რათა მუშაკი გამოთავისუფლდეს და გაუმჯობესდეს კონსულტაციებზე დასწრების მდგომარეობა.	საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. ჭანტურია	საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო
64	ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ეთხოვოს განათლების სამინისტროს დადებითად გადაწყვიტოს ონარიის რვაწლიანი სკოლის საცურაო აუზის მშენებლობა, აღნიშნულის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში იყო პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის წერილი.	ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ნ. კალანდია	ფიზიკური აღზრდის სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის სოციალისტური ვალდებულებები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლექტივი, ხელმძღვანელობს რა სკკპ 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების ისტორიული დადგენილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა (1983 წ.) და აპრილის (1984 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტატიებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, რესპუბლიკის მასწავლებელთა მე-5 ყრილობის რეკომენდაციებით, სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით, 1985 წელს იღებს შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

— ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება განათლების სისტემის დაწესებულებათა შორის მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მთელი თავისი საქმიანობა წარმართოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ დასახული ახალი ამოცანების განხორციელების ნიშნით;

— განათლების ყველა რგოლის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით, სახალხო განათლების სისტემის ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა კოლექტივების ყურადღება გაამახვილოს სახალხო განათლების ძირეული საკითხების გადაწყვეტასა და მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე;

— გააძლიეროს ორგანიზატორული საქმიანობა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განსახორციელებლად, შეიმუშაოს და ცხოვრებაში გაატაროს პრაქტიკული ღონისძიებები სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების ქსელის შემდგომი მოწესრიგებისა და განვითარებისათვის, აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის სრულყოფისათვის, მიიღოს ქმედითი ზომები სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ- მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით;

— განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმიური დავალებების შესრულებაზე. მიაღწიოს კონტინგენტის შენარჩუნებას; 1985—1986 სასწავლო წლისათვის დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩააბას 847,8 ათასამდე მოსწავლე, სკოლა-ინტერნატებში — 17,0 ათასამდე, ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში 2,4 ათასამდე, საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში 5 ათასზე მეტი მომუშავე ახალგაზრდა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 130,7 ათასამდე, სასკოლო ინტერნატებში 4000 მოსწავლე, გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში 145,0 ათასამდე აღსაზრდელი.

— გაატაროს ქმედითი ღონისძიებები მოსწავლეთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის, მათი დასვენების, ცხელი კერძებით კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის;

—გააძლიეროს მუშაობა განათლების სისტემის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის;

— შეიმუშაოს სათანადო საშუალებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის გეგმაზომიერი სრულყოფისათვის. უზრუნველყოს 1985 წლის გეგმით გათვალისწისებული ობიექტებისა და სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებით გათვალისწინებული ობიექტების ექსპლოატაციაში დროული ჩაბარება, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებით გამოყოფილი სახსრების ათვისება;

— ყოველმხრივ წაახალისოს და ხელი შეუწყოს საინიციატივო სასკოლო მშენებლობას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებებისა და სხვა შეფი ორგანიზაციების მიერ;

— სრულყოს მუშაობა სწავლების ხარისხის ასამაღლებლად; განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამების პრაქტიკული ნაწილის შესრულებაზე; ფართოდ გამოიყენოს სწავლების ისეთი ფორმები და მეთოდები, როგორიც არის ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, გასაუბრება;

— მოსწავლე ახალგაზრდობასთან იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარმართოს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად;

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით სისტემატურად განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებები უფროსკლასელებთან, კომკავშირლებთან და პიონერებთან პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის; შეისწავლოს, განაზოგადოს და პრაქტიკაში ფართოდ დანერგოს ამ მიმართულებით მუშაობის მოწინავე გამოცდილება; სრულყოს ამ მუშაობის ფორმები და მეთოდები, გააქტიუროს სკოლებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლისგარეშე დაწესებულებების ერთობლივი საქმიანობა, აამაღლოს სკოლისგარეშე დაწესებულებების მეთოდურ-საინსტრუქტაჟო სამსახურების ქმედითობა;

— უფრო აქტიური და შემოქმედებითი გახადოს მოსწავლეთა თვითმართველობის ორგანოების საქმიანობა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოსწავლეთა პირადი ინიციატივისა და საზოგადოებრივი აქტივობის განვითარებას. უფრო ქმედითი და სრულყოფილი გახადოს პედაგოგიური და მშობელთა კოლექტივების დახმარება მოსწავლეთა თვითმართველობის ორგანოებისადმი;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სკკპ და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს. გაატაროს ორგანიზაციული ღონისძიებები, რათა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისათვის მზადების პერიოდში ადგილებზე კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ მუშაობა მოსწავლეთა შეგნებაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების, საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეებისადმი სიამაყის გრძნობის აღსაზრდელად; მოამზადონ ისინი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის. ამ მიზნით გაკვეთილებზე, კლასგარეშე ღონისძიებების ჩატარებისას ფართოდ გააცნონ მოსწავლეებს ისტორიული მასალები, მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ასახულია ომის წლების მრისხანე მოვლენები. უფრო აქტიურად ჩააბან მოსწავლეები საკავშირო საძიებო ექსპედიციაში „დიდი სამამულო ომის მატიანე", სამხედრო-სპორტულ თამაშებში: „ცისკარი" და „მართვე". შექმნან სკოლებში საბრძოლო დიდების მუზეუმები, განაახლონ და გააფართოონ არსებული სტენდები, გალერეები, მოაწყონ ომში დაღუპულთა ობელისკები, კვლავაც გააგრძელონ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში „სიმამაცის გაკვეთილები" სამხედრო-პატრიოტულ თემებზე, დათვალიერებების, კონკურსების, დისპუტების, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან შეხვედრების ჩატარების პრაქტიკა;

— გააძლიეროს მუშაობა შრომითა და სწავლით დაუსაქმებელი, დანაშაულისაკენ მიდრეკილების მქონე არასრულწლოვანთა და არაკეთილსაიმედო ოჯახების გამოსავლინებლად, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა ადრეული პროფილაქტიკისა და აღმოფხვრისათვის, სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის სრულყოფისათვის;

— სრულჰყოს სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და მათი საბჭოთა მოქალაქედ ჩამოყალიბების საქმეში;

— დიდი ყურადღება დაუთმოს მოსწავლეთა შრომით აღზრდას, მათ პროფესიულ ორიენტაციას, საზოგადოებრივ-სასარგებლო, მწარმოებ-

ლურ შრომაში მათ აქტიურ ჩაბმას, მოსწავლეთა შორის ტექნიკური შემოქმედების გაღრმავებას. ფართოდ დანერგოს სახალხო განათლების მიერ ამ საქმეში დაგროვილი გამოცდილება;

— აქტიური მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ-ტექნიკური, სპეციალური საშუალო სასწავლებლების დაკომპლექტებაში, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები სკოლებში საპროფორიენტაციო მუშაობის გაძლიერების მიზნით, ამ საქმეში მასწავლებლების, მშობლებისა და საბაზო საწარმოების ფართოდ ჩაბმისათვის;

— გააძლიეროს მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომითი დასაქმების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით სკოლის შრომითი სწავლების პროფილის მიხედვით;

— შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებები საბაზო საწარმოების სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა განხორციელების საქმეში გააქტიურების მიზნით. თითოეულ საშუალო, ცხრაწლიან, აგრეთვე სპეციალურ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და სკოლა-ინტერნატზე მიმაგრებულ საბაზო საწარმოსთან (ორგანიზაციასთან) სისტემატური ერთობლივი მუშაობის დროს იხელმძღვანელოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1984 წლის 30 აგვისტოს დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო საწარმოების დებულებით:

— ფართოდ გაშალოს ორგანიზატორული მუშაობა მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო მეურნეობების შესაქმნელად და მათი მუშაობა წარმართოს არსებული დებულების შესაბამისად;

— უზრუნველყოს სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა, განავითაროს მოსწავლეთა ინიციატივა ყაირათიანთა ლაშქრობაში;

— განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები ზაფხულის არდადეგების პერიოდში და მთელი სასწავლო წლის მანძილზე მუდმივმოქმედი საწარმოო კომბინატების გასახსნელად, განსაკუთრებით ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, მიაღწიოს არსებულ კომბინატებში სასწავლო კაბინეტებისა და საამქროების გაფართოება-კეთილმოწყობას, მოსწავლეთა ნაყოფიერი შრომის მაღალ ორგანიზაციას, IV-VIII კლასებში შრომითი სწავლების გაკვეთილებისა და ნაყოფიერი შრომის ჩატარებას კომბინატების სახელოსნოებში;

— გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით, სასწავლო სახელოსნოების დანადგარებითა და ხელსაწყოებით, მასალითა და ავეჯით მომარაგების გაუმჯობესებისათვის;

— განათლების სამინისტროს მთავარ გამოთვლით ცენტრთან ერთად სისტემატური და ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს დარგობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთვლით ცენტრებსა და მათზე მიმაგრებულ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მოსწავლეების მიერ გამოთვლითი ტექნიკის დაუფლებისა და პროგრამისტ-ლაბორანტების მომზადების საქმეში ;

— სრულყოს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაცია, უზრუნველყოს გონებრივი განვითარების, ესთეტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის, ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების, ფიზიკური აღზრდის, ჯანმრთელობის დაცვისა და კვების გაუმჯობესება:

— სათანადო ღონისძიებები გაატაროს 1984 წელს დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა დროულად და მიზნობრივად ასათვისებლად;

— გააუმჯობესოს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურელთა რაოდენობა გაზარდოს 600 ათასამდე, ხოლო სპორტსმენ-თანრიგოსნებისა — 230 ათასამდე. იზრუნოს, რათა თითოეული მოსწავლე გახდეს მშთ ნიშნოსანი;

— მაღალორგანიზებულად ჩაატაროს საქართველოს მოსწავლეთა 33-ე სპარტაკიადა და შეარჩიოს ნაკრები გუნდების კანდიდატები მოსწავლეთა მე-18 საკავშირო სპარტაკიადისათვის;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მუშაობის გაუმჯობესებას, ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლების, სპორტული ბაზების კეთილმოწყობას, სათანადო ინვენტარით მათი უზრუნველყოფის საკითხებს;

— გააძლიეროს მუშაობა უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის დაცვის, ბავშვთა ტრავმატიზმის თავიდან ცილებისა და შრომის კანონმდებლობის ნორმების შესრულების საქმეში;

— გააგრძელოს მუშაობა, რათა მიმდინარე წელს, სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებს და სხვა საბავშვო დაწესებულებებს მიაწოდოს 13,6 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ინვენტარი, ავეჯი, თვალსაჩინო და ტექნიკური საშუალებები, სასწავლო და საყოფაცხოვრებო მანქანები, ავტომანქანები და ტრაქტორები, შეამციროს მიმოქცევის ხარჯები საქონელმბრუნვასთან შედარებით 8%-ით, მიიღოს 4000 მანეთის ოდენობის ზენორმატიული მოგება;

— გაატაროს ორგანიზაციული ღონისძიებები, რათა 1-ლი ივლისისათვის მომზადდეს 85 დასახელების სასკოლო სახელმძღვანელო 4 მილიონამდე ტირაჟით, ხოლო წლის ბოლომდე — საჭირო მეთოდური და თვალსაჩინო-დიდაქტიკური ლიტერატურის მასწავლებელთა უზრუნველსაყოფად;

— განახორციელოს ღონისძიებანი მე-7 კლასის ქართული ენის, მე-8 კლასის უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)

ახალი სახელმძღვანელოების შემდგომი სრულყოფის, აგრეთვე „საქართველოს ისტორიისა“ და „ჩვენი სამშობლოს“ მომზადებისა და გამოცემისათვის;

— განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები, რათა ყველა მოსწავლეს ღრმად ჩაენერგოს წიგნების, სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის ჩვევები, იზრუნონ სკოლების საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის გაზრდისათვის;

— ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა მოამზადონ მონოგრაფიები, მოაწყონ გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები სწავლების ხარისხის ამაღლების, შრომითი აღზრდის გაუმჯობესების, მოსწავლეთა შემოქმედებითი და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების საკითხებზე;

— მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება-გავრცელების, სკოლების ხელმძღვანელთა და კვალიფიკაციის ამაღლების, სწავლების ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების ბაზებზე გეგმის ზევით კვალიფკაცია აიმაღლოს 15000-მა განათლების მუშაკმა, ჩატარდეს სამეცნიერო-პრაქტიკული და თეორიული კონფერენციები, სემინარები, გეგმის ზევით შემუშავდეს 10 დასახელების მეთოდური რეკომენდაცია, მოსმენილ იქნას გეგმის ზევით 400-ზე მეტი გაკვეთილი;

— პრაქტიკული დახმარება გაეწიოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ორგანიზატორული მუშაობისა და მართვის, შინასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, პარტიისა და მთავრობის დირექტივების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების ბრძანებებისა და მითითებების განუხრელად შესრულების საქმეში;

— აამაღლოს მომთხოვნელობა სამინისტროს აპარატში, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებში, სკოლებსა და სხვა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში მოქალაქეთა განცხადებებში, საჩივრებსა და წერილებში დასმული საკითხების დადგენილი წესების დაცვით განხილვისა და დროულად გადაწყვეტისადმი;

— განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებები განათლების სამინისტროს სისტემის ყველა რგოლში საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის;

— განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებს შორის ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება სახალხო განათლების წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაკებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სახალხო განათლების დარგში გაშლილი სოცია-

ციალისტური შეჯიბრება გახადონ სკკპ 26-ე და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა და მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციის დიდმნიშვნელოვან რგოლად. იბრძოლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლების, შრომითი აღზრდისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი თაობის აღზრდისათვის, ძალღონე და ენერგია არ დაზოგონ აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა განუხრელად და ხარისხიანად შესრულებისათვის;

— არ დაზოგონ ძალა, ცოდნა და გამოცდილება, რათა 1985 წელს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების მეორე წელს ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში 1984 წელს ჩატარებული საკავშირო დათვალიერება-კონკურსის „მწვანე შუქის“ შედეგების შესახებ

დათვალიერება-კონკურსის „მწვანე შუქის“ შესახებ ადგილებიდან წარმოდგენილი მასალებისა და ჩატარებული შემოწმების შედეგებმა ცხადყვეს, რომ ადგილობრივმა საორგანიზაციო კომიტეტებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შორის საგზაო მოძრაობის წესების ელემენტების შესწავლა-დაუფლების საქმეში.

სკოლამდელი დაწესებულებები შეივსო ახალი სასწავლო თვალსაჩინო მასალით, მეთოდური, მხატვრული ლიტერატურითა და სათამაშოებით. საალმზრდელო ჯგუფებში შეიქმნა სპეციალური კუთხეები საგზაო ნიშნებით, ქუჩის მაკეტებით, პლაკატებით, სტენდებით, ალბომებით. პრაქტიკულ მუშაობაში ფართოდ იქნა გამოყენებული დიდაქტიკური, მოძრავი თამაშობები, სწავლების ტექნიკური საშუალებები. ბევრ რაიონსა და ქალაქში ჩატარდა საქალაქო რაიონული საჩვენებელი მეცადინეობები, რომლებშიც სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკები და დაწყებითი კლასების მასწავლებლები მონაწილეობდნენ. სისტემატურად ეწყობოდა ბავშვთა მიზნობრივი გასეირნებები და ექსკურსიები (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, მაიაკოვსკის. გალის, წალენჯიხის, ხობის, ვანის, თელავის, სამტრედიის, საგარეჯოს და სხვა რაიონები).

დათვალიერების პერიოდში გაძლიერდა სკოლამდელი დაწესებულებებისადმი მშობელთა კომიტეტებისა და საშეფო ორგანიზაციების დახმარება. მოეწყო ეზო-გარემო, ავტომოედნები. ამ მიზნით ქ. თბილისის 36-ე, 108-ე, 114-ე ბაგა-ბაღების შეფებმა გამოყვეს 7000 მანეთი, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (ამხ. რ. ჯალალონია) 3000 მანეთი, სოფელ ალაზანმშენის № 1 სამმართველომ (ამხ. ჯ. ელიზბარაშვილი) თელავის მე-3 ბაგა-ბაღისათვის — 2500 მანეთი და სხვ. ავტომოედნები მოეწყო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, წულუკიძის, გორის, სიღნაღის, საგარეჯოს, კასპის, ქობულეთის, სამტრედიის, საჩხერის, ხელვაჩაურის, თელავის, გალის, ხობის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში.

ბავშვები დამაკმაყოფილებლად დაეუფლნენ ქუჩაში მოძრაობის წესების ელემენტებს, საგზაო ნიშნებს. ბაგა-ბაღის ავტომოედნებზე აღსაზრდელებმა გამოავლინეს მგზავრებისა და ფეხით მოსიარულეთა წესე-

ბის ცოდნა, რასაც ავლენენ ყოველდღიურ საქმიანობაში, თამაშში, სწავლით საქმიანობაში და სხვა.

დათვალიერება-კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარება განპირობებულია რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურების აქტიური მონაწილეობითა და დახმარებით. ავტოინსპექციის მუშაკები სკოლამდელ დაწესებულებებში ატარებდნენ ლექციებს, სემინარებს, კონსულტაციებს. ამარაგებდნენ სათანადო ლიტერატურით (გუდაუთა, გულრიფში, სამტრედია, საგარეჯო, საჩხერე, თელავი, წალენჯიხა, სიღნაღი, კასპი, ყვარელი, ვანი და სხვ.)

ჩატარებული მუშაობის შედეგად 1984 წლის 11 თვის განმავლობაში შემცირდა 7 წლამდე ასაკის ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის შემთხვევები.

დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობა და შედეგები სისტემატურად შუქდებოდა პრესის ფურცლებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. თელავის № 3 ბაგა-ბაღის (ამხ. ნ. არსენიშვილი) და ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის ბაგა-ბაღის (ამხ. ლ. ჯგერენაია) ჩატარებული მუშაობა. მათ გარკვეული გამოცდილება დააგროვეს ბავშვთა შორის საგზაო მოძრაობის წესების შესწავლა-განმტკიცებაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზოგიერთი რეგიონის განათლების განყოფილებები და ავტოინსპექციის სამსახურები სათანადო გულისყურით ვერ მოეკიდნენ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს და სათანადო მუშაობა ვერ ჩაატარეს ამ მიმართებით (ქ. ფოთი, აბაშა, ადიგენი, ამბროლაური, ასპინძა, ახალქალაქი, ახალციხე, ბოლნისი, ბორჯომი, გარდაბანი, გეგეჭკორი, დმანისი, დუშეთი, ყაზბეგი, ლანჩხუთი, ლენტეხი, მარნეული, მესტია, მცხეთა, ონი, ორჯონიკიძე, თერჯოლა, თეთრი წყარო, ცაგერი, წალკა, წითელწყარო, წყალტუბო, ჩხოროწყუ).

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ტრავმატიზმის შემთხვევების თავიდან აცილებისა და საგზაო მოძრაობის წესების დაუფლების შემდგომი სრულყოფის მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიებმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს რესპუბლიკური, ხოლო ყოველწლიურად სარაიონო, საქალაქო დათვალიერება-კონკურსები.

2. დათვალიერება-კონკურსში („მწვანე შუქი") გამარჯვებისათვის დაჯილდოვდნენ: პირველი პრემიით (500 მანეთი) ქ. თბილისის კიროვის რაიონის 36-ე ბაგა-ბაღის (ამხ. დ. დარახველიძე) და ქობულეთის რაიონის მე-5 ბაგა-ბაღის (ამხ. ნ. მსხალაძე); მეორე პრემიით (300 მანეთი) ქ. ქუთაისის მე-17 ბაგა-ბაღის (ამხ. ლ. კუბლაშვილი), ქ. ბათუმის 21-ე ბაგა-ბაღის (ამხ. ე. მამასახლისი), მესამე პრემიით (200

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანეთი) საჩხერის რაიონის მე-2 ბაგა-ბაღის (ამხ. ლ. პაპიძე) მახინჯაურის რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღის (ამხ. ნ. ახალაძე) კოლექტივები. განათლების სამინისტროს დიპლომებით და ავტოინსპექციის ვიმპელებით დაჯილდოვდნენ: 83 სკოლამდელი დაწესებულების კოლექტივი (სია თან ერთვის), 3 საორგანიზაციო კომიტეტი ფულადი პრემიით, აქედან რესპუბლიკური პრემიით — აჭარის ასსრ, საქალაქო პრემიით — ქ. თბილისი.

3. დაწესებული პრემიების ანაზღაურება მოხდეს დებულების თანახმად.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ შინაგან
საქმეთა მინისტრი
გ. გვეტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო დათვალიერება-კონკურსში „მწვანე შუქი“ გამარჯვებულთა სია

1. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 114-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი
2. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის 108-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი
3. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 75-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი
4. აჭარის ასსრ მე-8 საბავშვო ბაღის კოლექტივი
5. აჭარის ასსრ მე-20 ბაგა-ბაღის კოლექტივი
6. აჭარის ასსრ 28-ე საბავშვო ბაღის კოლექტივი
7. აჭარის ასსრ 32-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი
8. აფხაზეთის ასსრ, ქ. სოხუმის საბავშვო ბაღი „სკაზკა“
9. აფხაზეთის ასსრ, ქ. სოხუმის 1-ლი ბაგა-ბაღი „ალაშარა“
10. აფხაზეთის ასსრ, ქ. სოხუმის მე-12 ბაგა-ბაღი „ოგონიოკი“
11. გალის რაიონის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი
12. ქ. ქუთაისის მე-19 ბაგა-ბაღის კოლექტივი
13. ქ. ქუთაისის მე-17 ბაგა-ბაღის აღმზრდელები: მ. მამისეიშვილი, ი. ჯღაბაძე
14. ქ. ქუთაისის 1-ლი ბაგა-ბაღის აღმზრდელები: ნ. ჩიხლაძე, დ. მიქელაძე, ც. გოგოლაშვილი
15. ქ. რუსთავის მე-18 ბაგა-ბაღის კოლექტივი
16. ქ. რუსთავის მე-18 ბაგა-ბაღის მუსიკის მასწავლებელი ბ. ბაგრატიონი
17. ქ. რუსთავის მე-18 ბაგა-ბაღის აღმზრდელები: ნ. ფეიქრიშვილი, ჟ. გულვარდიშვილი
18. ქ. რუსთავის 21-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელი თ. ბალიაშვილი
19. ქ. რუსთავის 21-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი
20. ქ. რუსთავის 28-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი
21. ქ. რუსთავის 28-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელები: ნ. ოდიშარია, ვ. სმაროდინა
22. საგარეჯოს რაიონის 1-ლი საბავშვო ბაღის კოლექტივი
23. წალენჯიხის რაიონის 1-ლი საბავშვო ბაღის კოლექტივი
24. წალენჯიხის რაიონის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი
25. წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ბაგა-ბაღის კოლექტივი
26. წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოს 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი
27. წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოს მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი

28. წულუკიძის რაიონის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ჟ. ქუთათელაძე

29. წულუკიძის რაიონის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის საბავშვო ბაღის კოლექტივი

30. კასპის რაიონის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი

31. კასპის რაიონის მე-2 ბაგა-ბაღის აღმზრდელი ე. ყაზარაშვილი

32. სიღნაღის რაიონის სოფელ ქ. წნორის საბავშვო ბაღის კოლექტივი

33. ხობის რაიონის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი

34. ხობის რაიონის სოფელ ხეთის ბაგა-ბაღის კოლექტივი

35. ხობის რაიონის საბავშვო ბაღის კოლექტივი

36. ხობის რაიონის სოფელ ბიის საბავშვო ბაღის კოლექტივი

37. ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგის საბავშვო ბაღის კოლექტივი

38. მაიაკოვსკის რაიონის ბაგა-ბაღის კოლექტივი

39. ცხაკაიას რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი

40. ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის ბაგა-ბაღის კოლექტივი

41. სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის ბაგა-ბაღის კოლექტივი

42. სამტრედიის რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი

43 სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის საქსოვი ფაბრიკის ბაგა-ბაღის კოლექტივი

44. სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტები: ბ. შენგელია, მ. ნიკოლეიშვილი, მ. სამხარაძე

45. სამტრედიის რაიონის ბაგა-ბაღის აღმზრდელები: ნ. ელიავა, ი. ხაჟალია, გ. შუბლაძე

46. თელავის რაიონის მე-8 ბაგა-ბაღის კოლექტივი

47. თელავის რაიონის ბაგა-ბაღის აღმზრდელები: დ. ხეჩიაშვილი, ნ. ათუაშვილი, ლ. მესაბლიშვილი, ლ. სუმბაძე

48. ზესტაფონის რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი

49. ზესტაფონის რაიონის მე-2 ბაგა-ბაღის კოლექტივი

50. ზესტაფონის რაიონის მე-3 ბაგა-ბაღის კოლექტივი

51. ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის საბავშვო ბაღის კოლექტივი

52. ვანის რაიონის სოფელ ტობანიერის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ლ. ვაშაკიძე

53. გორის რაიონის სოფელ სკრის ბაგა-ბაღის კოლექტივი

54. ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის კოლექტივი

55. ბოგდანოვკის 1-ლი საბავშვო ბაღის კოლექტივი

56. გურჯაანის რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი

57. გურჯაანის რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის კოლექტივი

58. ქ. ტყიბულის 1-ლი ბაგა-ბაღის კოლექტივი

59. ქ. ტყიბულის 1-ლი ბაგა-ბაღის აღმზრდელები: ნ. გონგარი, ნ. ლომთაძე

60. მხედველობადარღვეულ ბავშვთა რესპუბლიკური ბაგა-ბაღის კოლექტივი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიმპელებით დაჯილდოებულ სკოლამდელ დაწესებულებათა სია

1. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 114-ე ბაგა-ბაღი
2. ქ. თბილისის კიროვის რაიონის 35-ე ბაგა-ბაღი
3. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის 108-ე ბაგა-ბაღი
4. თელავის მე-3 ბაგა-ბაღი
5. ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის ბაგა-ბაღი
6. ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი
7. გორის რაიონის სოფელ სკრის ბაგა-ბაღი
8. ხობის რაიონის 1-ლი ბაგა-ბაღი
9. მხედველობადარღვეულ ბავშვთა რესპუბლიკური ბაგა-ბაღი
10. ქ. ბათუმის 21-ე ბაგა-ბაღი
11. ქ. თბილისის სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტი
12. საგარეჯოს რაიონის 1-ლი საბავშვო ბაღი
13. გურჯაანის რაიონის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების საბაზო საწარმოების მიერ გაწეული მუშაობის დათვალიერების, უკვე დაგროვილი გამოცდილების განზოგადებისა და ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის ღონისძიებათა დასახვის მიზნით კოლეგიამ

გადაწყვიტა:

1. 1985 წლის აპრილში ჩატარდეს რესპუბლიკური თათბირ-სემინარი თემაზე: „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ასსრ განათლების სამინისტროების, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების საბაზო საწარმოთა ხელმძღვანელების მონაწილეობით.

2. დამტკიცდეს რესპუბლიკური თაბირ-სემინარის საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

მ. კობახიძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (თავმჯდომარე)

თ. ტატიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე)

ი. ანდრიაშვილი — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის კათედრის პროფესორი

გ. გვათუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი

მ. გოგიტიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი

კ. ძლიერიშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. კბილაშვილი — ქ. თბილისის საქარხნო რაიონის განათლების განყოფილების გამგე

ზ. ლომსიანიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი

გ. დევდარიანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს შრომითი სწავლების სექტორის გამგე

რ. კილაძე —ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სექტორის გამგე

ნ. ახობაძე — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე

3. თათბირ-სემინარის მომზადებისა და ჩატარების გეგმა დამტკიცდეს.

4. მოწონებულ იქნას თათბირ-სემინარზე განსახილველი მოხსენებების თემატიკა (თან ერთვის).

5. თათბირ-სემინარის მომზადებისა და მოწყობის საორგანიზაციო კომისიამ:

5. 1. დროულად შეარჩიოს მომხსენებლები თემატიკის მიხედვით და დაუგზავნოს მათ შერჩეული თემატიკა;

5. 2. აღნიშნულ ვადებში მოაგვაროს თათბირ-სემინარის ჩატარების გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულება;

5. 3. პერიოდულად ჩაატაროს კომისიის სხდომები და განიხილოს თათბირ-სემინარისათვის მზადების მიმდინარეობა.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) თათბირ-სემინარის ჩასატარებლად გამოყოს საჭირო თანხა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრის მოადგილე ო. დოლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირ-სემინარზე განსახილველ მოხსენებათა სარეკომენდაციო თემატიკა

1. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესასრულებლად მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, საზოგადოებრივ-სასარგებლო და მწარმოებლური შრომის გაუმჯობესების საქმეში სახალხო განათლების ორგანოებისა და საბაზო საწარმოების ერთობლივი მუშაობის მიმდინარეობა.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებების შესასრულებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, საზოგადოებრივ-სასარგებლო და მწარმოებლური შრომის გაუმჯობესების უზრენველსაყოფად საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა.

3. მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მწარმოებლური შრომის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად მიღებული საკანონმდებლო დადგენილების განხორციელების საქმეში პარტიის რაიონული კომიტეტის ორგანიზატორული მუშაობა.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის აპრილის № 314 დადგენილების შესასრულებლად სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის გაუმჯობესების საქმეში გაერთიანება „ელმავალმშენებელი" ქარხნის მიერ გაწეული მუშაობა.

5. სახალხო განათლების განყოფილებებისა და საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) ერთობლივი მუშაობა მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, საზოგადოებრივ-სასარგებლო და მწარმოებლური შრომის გაუმჯობესების საქმეში.

6. საჩხერის რაიონში სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების საზოგადოებრივ-სასარგებლო და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის შედეგები.

7. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესასრულებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების ერთობლივი მუშაობა.

8. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შრომის მასწავლებელთა და საწარმოო სწავლების ოსტატთა მომზადების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

9. შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორის მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების განსახორციელებლად შემუშავებული კომპლექსური გეგმის ეტაპობრივად შესრულების საქმეში.

10. სასწავლო-საწარმოო საამქროში მეექვსე და მეცრვეკლასელ მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის ორგანიზაცია.

11. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობისა და მოსწავლე ახალგაზრდობასთან პროფორიენტაციული მუშაობის მდგომარეობა.

12. მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომის ანაზღაურება, ამ საკითხზე ნორმატიული დოკუმენტების განხილვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სახალხო განათლების განვითარების 1984 წლის შედეგებისა და 1985 წლის ამოცანების შესახებ . . . 3

გადაწყვეტილება — მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1985 წლის იანვრის კონფერენციების შედეგების შესახებ 27

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის სოციალისტური ვალდებულებები 44

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში 1984 წელს ჩატარებული საკავშირო დათვალიერება-კონკურსის „მწვანე შუქის" შედეგების შესახებ 51

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარების შესახებ 57

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ბეჭდვაზე 6/V-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VI-85 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 4;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,5

შეკვეთა № 379 უე 11556 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7